ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 მარტი კვირა 1970

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი

№ 62 (14666)

ხელოვნება — ხალხთა ძმობის სამსახურში

უკვე რამდენიმე დღეა თბილისის საუკეთესო საკონცერტო დარბაზები, თეატრები და ესტრადები დათმობილი აქვთ მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების ხელოვნების ოსტატებს. საქართველოს დედაქალაქში საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების დიდი დღესასწაულია, რომელიც ერთხელ კიდევ მკაფიოდ გამოხატავს ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოველმყოფელობას, ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის ლენინური პრინციპების სიცოცხლისუნარიანობას, ერთხელ კიდევ ხაზგასმით გვიჩვენებს, თუ რაოდენ აყვავდა და განვითარდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ეროვნული კულტურები, როგორი მტკიცე და ნაყოფიერია ამ კულტურათა ურთიერთკავშირი.

„ხელოვნება ხალხს ეკუთვნის, — ამბობდა ვ. ი. ლენინი. — **იგი თავისი ღრმესი ფესვებით მშრომელთა ფართო მასების თვით შუაგულში უნდა მიდიოდეს. იგი საყვარელი და გასაგები უნდა იყოს ამ მასებისათვის. იგი უნდა აერთიანებდეს ამ მასების გრძნობას, აზრსა და ნებისყოფას, აღაგზნებდეს მათ. იგი მათში მხატვრებს უნდა აღვიძებდეს და ავითარებდეს“.**

ლენინის ეს მითითება უმთავრესი სახელმძღვანელოა სოციალიზმის ხელოვნებისა და ლიტერატურისათვის. საბჭოთა ხელოვნების მოღვაწეების — მუსიკოსების, მხატვრების, თეატრისა და კინოს ოსტატების უპირველესი საზრუნავია, რომ როგორც ლენინი გვასწავლიდა, ხელოვნება ახლოს იყოს ხალხთან, ხოლო ხალხი ხელოვნებასთან, რომ იქმნებოდეს ისეთი მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც მახლობელი, გასაგები და საყვარელი იქნება მშრომელთა ფართო მასებისათვის.

სწორედ ამიტომაც არის, რომ ჩვენში ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადები, კვირეულები, კულტურის დღეები, ფესტივალები და ცალკეული მხატვრული კოლექტივების გასტროლები უდიდეს ინტერესს იწვევს და ყოველთვის ხელოვნების თავისებური ზეიმი ხდება.

საბჭოთა ხალხების ერთიანობა და შეკავშირება, რასაც მტკიცე საფუძვლად უდევს ლენინური ეროვნული პოლიტიკა და რაც ამ პოლიტიკის გამარჯვების გამოხატულებაა, ჩვენი ქვეყნის ძლიერებისა და წინსვლის ერთ-ერთი საიმედო ბურჯია. ხოლო საბჭოთა ხალხები რაც უფრო ახლოს გაიცნობენ ერთმანეთის წარსულსა და აწმყოს, სულიერი კულტურის მონაპოვრებს, მით უფრო ურღვევი იქნება მათი კავშირი და მეგობრობა.

ამ აზრით ფრიად სასარგებლო და ნაყოფიერია მოკავშირე რესპუბლიკების მრავალი ერთობლივი ღონისძიება, რომლებიც ამ ბოლო ხანებში ხორციელდება და რომლებსაც ერთი დევიზი აქვთ — ღირსეულად აღვნიშნოთ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი.

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კომპოზიტორთა კავშირების ინიციატივით თბილისში, ერევანსა და ბაქოში ჩატარდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბავშვო და მოზარდთა მუსიკის კვირეული, რომლის პროგრამაში იყო როგორც მუსიკალურ ნაწარმოებთა საჯარო მოსმენა, ისე მსჯელობა და საუბარი საბავშვო მუსიკის დღევანდელ მდგომარეობაზე, მისი განვითარების ამოცანებსა და გზებზე. ამიტომაც, ცხადია, კვირეულმა დიდი ინტერესი გამოიწვია არა მარტო ვიწრო მუსიკალურ წრეებში, არამედ მის მუშაობას დიდი გულისყურით მოეკიდნენ პედაგოგები, მშობლები, კულტურის მუშაკები, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ქვეყნის მომავალი, მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდა, კომუნიზმის მშენებელი თაობის სულიერი და ფიზიკური ჩამოყალიბება.

ამ დღეებში ბაქოში დაიწყება ამიერკავკასიის ხალხთა პოეზიის საღამოები, რომელიც შემდეგ ეწვევა ერევანს და ბოლოს აკორდით დამთავრდება თბილისში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. პოეზიის ამ სამეგობრო საღამოებში მონაწილეობას მიიღებენ სამივე რესპუბლიკის მხატვრული სიტყვის ცნობილი ოსტატები და ახალგაზრდობა. ცხადია, ამიერკავკასიის ხალხთა პოეზიის საღამოები ახალი შინაარსიანი ფურცელი იქნება იმ დიდი სიმბოლური წიგნისა, რომელსაც ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობის მატიანე ეწოდება და რომელიც თვალსაჩინოდ ძვირფასია ამიერკავკასიის ხალხებისათვის.

ახლა კი საქართველოში — თბილისში და სხვა დიდ ქალაქებში „საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების დღესასწაულია“, რომელიც აზერბაიჯანისა და სომხეთის გზით გვეწვია და ხელოვნების დიდი სიხარული მოგვიტანა.

საქართველო მასპინძელია ისეთი ცნობილი მხატვრული კოლექტივებისა და ცალკეული მუსიკოს-შემსრულებლებისა, როგორიც არიან მსოფლიოში სახელგანთქმული საბჭოთა კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის იგორ მოისეევის მხატვრული ხელმძღვანელობით, საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის დიდი სიმფონიური ორკესტრი, ბელორუსიის ხალხურ საკრავთა ცნობილი ორკესტრი, სსრ კავშირის სახალხო არტისტები, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატები ემილ გილელსი და ლეონიდ კოგანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტები — სახელოვანი დირიჟორი გენადი როჟდესტვენსკი, ბელორუსიის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი ზინობი ბაბი, „ყაზახეთის ბულბული“ ბიბიგულ ტულეგენოვა, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდავეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის და სხვა რესპუბლიკების მუსიკალური კოლექტივები და მუსიკოს-შემსრულებლები.

ხელოვნების ამ დიდ ზეიმს განსაკუთრებულ ელფერსა და მნიშვნელობას ანიჭებს სწორედ ის ფაქტიც, რომ იგი ეწყობა ლენინური დევიზით „ხელოვნება ხალხს ეკუთვნის“, რომელშიც ლაკონიურად, მაგრამ მთელი სიღრმით არის გადმოცემული საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების არსი, მისი უკეთილშობილურესი დანიშნულება.

ცხადია, ხელოვნების დღესასწაულის პროგრამა მარტო კონცერტებით როდი შემოიფარგლება. მისი მონაწილეები შეხვდებიან რესპუბლიკის საწარმოთა მოწინავე ადამიანებს, სოფლის მეურნეობის მშრომელებს, კულტურის მოღვაწეებს და სხვ.. გაიმართება საუბრები, რომლებიც ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს, რადგან ხელს უწყობს ხალხთა დაახლოებასა და დამეგობრებას.

ქართული ხელოვნება და მწერლობა ერთ-ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა მეგობრობა და ძმობა სხვა ხალხებთან, მათს კულტურასთან. მეგობრობა ჩვენი ეროვნული ტრადიციაა. ჯერ კიდევ თითქმის რვა საუკუნის წინათ გენიალური პოეტი და მოაზროვნე შოთა რუსთაველი ამბობდა:

ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.

ქართველი ხალხის სხვა ხალხებთან მეგობრობის ისტორიას, კულტურული ურთიერთობის დიად მატიანეს ამშვენებენ ისეთი უკვდავი სახელები, როგორიც არიან შოთა რუსთაველი, ნიზამი, ალიშერ ნავოი, დავით გურამიშვილი, საიათ-ნოვა, ვაგიფი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე პუშკინი, მიხეილ ლერმონტოვი, ტარას შევჩენკო, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გაბრიელ სუნდუკიანცი, მირზა ფატალი ახუნდოვი, ოვანეს თუმანიანი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, მაქსიმ გორკი და მრავალი სხვა. **საბჭოთა ეპოქაში ეს მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა, ლენინურ ეროვნულ პოლიტიკაზე დაფუძნებული, უფრო განმტკიცდა, გამოიწრთო, ახალი შინაარსით გამდიდრდა და ჩვენს დღეებში საბჭოთა ქვეყნის ძლიერების სასარგებლო და საჭირო ნაყოფს იძლევა.**

მინსკში ჩავიდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი

მინსკი, 13 მარტი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ ბელორუსიაში მიმდინარეობს ჯარების მანევრები „დვინა“, დღეს რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

აეროპორტში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. პ. მ. მაშეროვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ა. ა. გრეჩკო და სხვები.

ჯარის მანევრების გარჩევა

14 მარტს მინსკში გაიმართა „დვინის“ ჯარის მანევრების გარჩევა, რომელიც მოაწყო მანევრების ხელმძღვანელმა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. გრეჩკომ.

გარჩევას დაესწრო და სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელსაც მანევრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ შრომით ვახტზე დგანან [illegible] ქარხნის მეორე საამქროს № 18 ღუმელის მდნობელთა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც [illegible] უდგას სათავეში. ბრიგადა ყოველდღიურად მნიშვნელოვნად გადაჭარბებით ასრულებს ცვლის დავალებებს. სურათზე: ვ. [illegible].

ფოტო შ. მერაბიშვილისა (საქინფორმი)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის პირველად პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული კრებების მოწყობის პრაქტიკის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა საკითხი ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული კრებების მოწყობის პრაქტიკის შესახებ. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიის ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ასრულებენ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან პარტიული კრებების, როგორც კომუნისტთა ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარების უმნიშვნელოვანესი საშუალების, როლის ამაღლებისათვის.

რაიკომის მდივნები, ბიუროს წევრები, აპარატის მუშაკები, შტატგარეშე აქტივისტები სისტემატურად დადიან პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, ესწრებიან პარტიულ კრებებს, ეხმარებიან მდივნებს მასებთან პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესებაში, ძალების განაწილებასა და ყველა უბანზე პარტიული გავლენის გავრცელებაში.

რაიკომის პლენუმებსა და ბიუროს სხდომებზე რეგულარულად განიხილავენ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია პარტიული კრებების მომზადებისა და მოწყობის საქმის გაუმჯობესებასთან და კრებებზე მიღებულ დადგენილებათა ქმედითობის უზრუნველყოფასთან. პარტიული კრებების მომზადებისა და მოწყობის გამოცდილებას განაზოგადებენ და განიხილავენ აგრეთვე პირველადი და საამქრო პარტორგანიზაციების მდივნების, პარტჯგუფორგების ერთწლიანი სკოლის მეცადინეობებსა და სემინარებზე.

პარტიის რაიკომში არის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის ოთახი, სადაც მდივნებს შეუძლიათ გაეცნონ პარტიულ-პოლიტიკურ ლიტერატურას, პარტიული დოკუმენტების გაფორმების ნიმუშებს, მიიღონ საჭირო კონსულტაცია და პრაქტიკული დახმარება.

ყოველივე ეს ხელს უწყობს იმას, რომ გაიზარდოს პარტიული კრებების, როგორც კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოების, კომუნისტთა აღზრდის სკოლის, სახელმწიფო გეგმებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის მშრომელთა დარაზმვის ქმედითი საშუალების, როლი.

1969 წელს რაიონის ყველა საწარმომ, გარდა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატისა, შეასრულა სახელმწიფო გეგმა. პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 103,8 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების გეგმა — 105,8 პროცენტით. 1156-მავე კომუნისტმა — წარმოების მუშაკმა შეასრულა წლიური ნორმები, ხოლო მათგან 65-მა ვადამდე — 4 წელიწადში შეასრულა ხუთწლედის დავალებანი. გაუმჯობესდა მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება.

ბევრი პარტორგანიზაციის პარტიული კრებების დღის წესრიგში სულ უფრო ხშირად აყენებენ ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს. პარტიული კრებების ყურადღების ცენტრშია ისეთი საკითხები, როგორიც არის კომუნისტების პასუხისმგებლობის ამაღლება თავიანთი სამსახურებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისათვის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვა, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება.

მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე ისმენენ პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატების ინფორმაციებს, თუ როგორ ასრულებენ სკკპ პროგრამისა და წესდების მოთხოვნებს. ძირითადად ასეთი მოსმენა მიმდინარეობს კომუნისტთა პრინციპულობისა და ურთიერთმომთხოვნელობის ვითარებაში.

მეტ წილ კრებებზე კომუნისტები დაკვირვებით განსაზღვრავენ პარტორგანიზაციათა ამოცანებს, სახავენ კონკრეტულ პრაქტიკულ ღონისძიებებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ორგანიზებულად ეწყობა პარტიული კრებები, მაგალითად, ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანაში, მოდელური ფეხსაცმლის ფაბრიკაში, თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის საპროექტო-ტექნოლოგიურ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სახელმწიფო სპეციალიზებულ საკონსტრუქტორო ბიუროში, 23-ე და 31-ე საშუალო სკოლებში. აქ დღის წესრიგის ძირითადი საკითხების გარდა, ისმენენ პარტორგანიზაციების მდივნების საინფორმაციო მოხსენებებსა და ინფორმაციებს კრებებს შორის გაწეული მუშაობის შესახებ, პარტიული კრებების გადაწყვეტილებების, კომუნისტთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების შესრულების შესახებ. ყოველივე ეს მნიშვნელოვან პრაქტიკულ შედეგებს იძლევა. მაგალითად, ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანაში მას შემდეგ, რაც განიხილეს და შეასრულეს ღია პარტიულ კრებაზე მიღებული დადგენილება ახალი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების მექანიზაციის საკითხზე, შემცირდა მძიმე და ხელის სამუშაოთა პროცენტი, გადიდდა შრომის ნაყოფიერება.

ამასთან პარტიის რაიკომისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში პარტიული კრებების მომზადებისა და მოწყობისათვის არის მთელი რიგი ნაკლოვანებები და ხარვეზები. არ შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციებში არღვევენ პარტიული კრებების მოწვევის ვადებს, რომლებიც წესდებით არის დადგენილი, ჯეროვნად არ აფასებენ ღია პარტიული კრებების, როგორც უპარტიო მასებთან კავშირის გაძლიერების საშუალების, როლსა და მნიშვნელობას.

ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში კრებები ეწყობა ზერელედ, აქ საკითხებს განიხილავენ ისე, რომ ღრმა ანალიზს არ უკეთებენ საქმის ვითარებას და არ უკავშირებენ კოლექტივის წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებს, კრებებზე არ არის კრიტიკა და თვითკრიტიკა და აზრთა ფართო ურთიერთგაზიარება.

მაგალითად, 1969 წლის თებერვალში ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში გამართულ ღია პარტიულ კრებაზე დღის წესრიგში იყო საკითხები: კომბინატის მიერ 1968 წლის გეგმის შესრულება და 1969 წლის ამოცანები და საიუბილეო ვალდებულებათა შესრულება. მაგრამ პირველ საკითხზე სიტყვით გამოვიდა მხოლოდ პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ჩახუნაშვილი, მეორე საკითხზე კი — ორი ამხანაგი.

1969 წლის დეკემბერში ქალაქის № 5 საბავშვო საავადმყოფოს პარტორგანიზაციის კრებაზე მოხსენება შრომის დისციპლინის მდგომარეობის შესახებ გააკეთა პარტბიუროს მდივანმა, რომელმაც დუმილით აუარა გვერდი კოლექტივში დისციპლინის დარღვევის ფაქტებს. განსახილველ საკითხზე კამათში არავინ არ გამოსულა, დადგენილებაში, რომელიც ერთი პუნქტისაგან შედგებოდა, ჩაიწერა, რომ ადმინისტრაცია ახალისებდა კარგ მუშაკებს.

არის ისეთი ფაქტებიც, როცა პარტიულ კრებებზე განიხილავენ ნაკლებადმნიშვნელოვან, ერთფეროვან საკითხებს, რომლებიც ძირითადად ეხება მიმდინარე საწარმოო საქმიანობას. ამასთან ზოგჯერ კრებები გადაიქცევა ხოლმე ჩვეულებრივ საწარმოო თათბირებად, სადაც ლაპარაკია არა კოლექტივის წინაშე მდგომი ამა თუ იმ ძირეული ამოცანების გადაწყვეტაში კომუნისტთა როლსა და ადგილზე, არამედ უმთავრესად სხვადასხვა ხარვეზებზე ტექნიკურ მომარაგებაში და სხვ.

ზოგიერთ პარტორგანიზაციაში (თბილგასტრონომვაჭრობის მაღაზიების ქსელის, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“, ქარხანა „თბილწყალსადენისა“ და სხვ. პარტორგანიზაციებში) პარტიული კრებების მომზადებაში ნაკლებად აბამენ აქტივს, რიგით კომუნისტებს. მაგალითად, „თბილგასტრონომვაჭრობის“ მაღაზიების ქსელის პარტორგანიზაციაში შარშან კრებების საკითხებს, ძირითადად, ამზადებდნენ მდივანი ამხ. მახარაძე და მისი მოადგილე ამხ. ხვედელიძე და ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ აქ კომუნისტების აქტივობა დაბალია, კამათში მონაწილეობენ ერთი და იგივე პირები.

ქაღალდისა და საკანცელარიო ნაწარმის ფაბრიკის, ცენტრალური უნივერმაღის, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის, ქალაქის № 5 საბავშვო საავადმყოფოს, საგალანტერეო ფაბრიკისა და სხვა პარტორგანიზაციებში კრებებზე მიღებული დადგენილებები ხშირად კონკრეტული არ არის, დეკლარაციული ხასიათისაა. არის ნაკლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლში.

სერიოზული ნაკლია ის, რომ მთელ რიგ ორგანიზაციებში პარტიული კრებები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ უწყობენ ხელს კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებას, მათს დარაზმვას სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევების, ლოთობის, სოციალისტური საკუთრების დატაცების ცალკეული ფაქტების, მფლანგველობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად. ზოგიერთ პარტორგანიზაციაში ასეთი საკითხების განხილვა ხდება ზოგადად, ისე, რომ პერსონალურად არ აკრიტიკებენ დამნაშავე პირებს.

მთელი რიგი პარტიული კრებების დღის წესრიგში ჯერ კიდევ არ უჭირავს სათანადო ადგილი შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, კადრების აღზრდისა და სწავლების, პროდუქციის ხარისხის, კადრების დენადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს და სხვ.

ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში ჯეროვანი ყურადღებით არ ეკიდებიან პარტიულ მეურნეობას, ისე აფორმებენ ოქმებს, რომ ასახული არ არის, თუ რა ხდებოდა სინამდვილეში პარტიულ კრებებზე.

ცენტრალურმა კომიტეტმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის, განათლების სამინისტროების, აგრეთვე სხვა სამინისტროებისა და რესპუბლიკური ორგანოების ხელმძღვანელები და პასუხისმგებელი მუშაკები იშვიათად მონაწილეობენ ან სულ არ მონაწილეობენ თავიანთი სისტემის საწარმოთა და დაწესებულებათა პარტორგანიზაციების კრებების მუშაობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს აღმოფხვრან ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი, განუხრელად იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „იაროსლავლის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული კრებების მოწყობის პრაქტიკის შესახებ“ და კიდევ უფრო აამაღლონ პარტიული კრებების როლი კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანათა განხორციელებაში. მტკიცედ ილწვოდნენ იმისათვის, რომ პარტიული კრებები, რომლებიც პირველადი პარტორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა, გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენდნენ შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომ განვითარებაზე, მუშაობაში კოლექტიურობის ლენინური პრინციპის განმტკიცებაზე. პარტიული კრებები ყველგან ხელს უნდა უწყობდნენ პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატების, ყველა მშრომელის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ზრდას, რაზმავდნენ კომუნისტებსა და უპარტიოებს სკკპ XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესასრულებლად, საზოგადოებრივი წარმოების ამაღლებისათვის, შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის, მასების იდეური აღზრდის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად.

უნდა ვილწვოდეთ პარტიული კრებების ეფექტიანობისათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდეთ მათს შინაარსს. კრების განსახილველად უნდა გამოვქონდეს საკითხები, რომლებიც აღელვებს კოლექტივს და რომლებსაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს მისი საქმიანობისათვის. პარტიული კრებები ყველგან ნამდვილად უნდა გახდნენ კომუნისტთა აღზრდის სკოლა, აქტიურად უნდა უწყობდნენ ხელს კომუნისტთა პოლიტიკურ წრთობას, ზრდიდნენ პირად პასუხისმგებლობას ორგანიზაციაში საქმის ვითარებისათვის. კრებების პრაქტიკაში უფრო ფართოდ უნდა დაინერგოს კომუნისტების ანგარიშგება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების მოთხოვნების შესრულების შესახებ.

უნდა უზრუნველვყოთ პარტიული კრებების საგულდაგულო მომზადება და მოწყობა, უფრო ფართოდ ჩავაბათ ამ საქმეში რიგითი კომუნისტები, განსაკუთრებით მუშები, ვეცადოთ, რომ საკითხების განხილვა იყოს გულახდილი, ნამდვილად კოლექტიური და საქმიანი, მიმდინარეობდეს კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით, აზრთა თავისუფალი, ამხანაგური ურთიერთგაზიარების, მაღალი პრინციპულობისა და ურთიერთმომთხოვნელობის ვითარებაში. უნდა უზრუნველვყოფდეთ კრიტიკის ქმედითობას, თავს არ ვარიდებდეთ მწვავე საკითხების განხილვას, ყველგან ვიყენებდეთ კრიტიკას მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განუხრელად დაცვის სულისკვეთებით კადრების აღზრდისათვის.

პარტიული კრებების ქმედითობის ამაღლების მიზნით უნდა ვცდილობდეთ, რომ კრებებზე ვიღებდეთ კონკრეტულ და დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს განხილულ საკითხებზე, ამასთან აღვნიშნავდეთ პასუხისმგებელ პირებსა და შესრულების ვადებს. უნდა სრულვყოფდეთ შესრულების შემოწმებას და საქმის ფაქტიური ვითარებისადმი კონტროლს შემოწმებისა და შესრულების ორგანიზაციის უნარიანი შეხამების გზით. მთელი სიმკაცრით უნდა ვთხოვდეთ პასუხს იმათ, ვისი მიზეზითაც იფუშება დადგენილებათა შესრულება. პარტიულ კრებებს რეგულარულად უნდა მოვახსენებდეთ ადრე მიღებულ დადგენილებათა შესრულების მსვლელობას.

პირველადი ორგანიზაციების პარტიულ კომიტეტებსა და ბიუროებს წინადადება მიეცათ განუწყვეტლივ ადევნებდნენ თვალყურს, თუ როგორ მიმდინარეობს კომუნისტთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაცია და ამას მოახსენებდნენ მორიგ პარტიულ კრებებს. შენიშვნებს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანოების მიმართ დროულად უნდა განვაზოგადებდეთ და ვატყობინებდეთ მათ. ამ ორგანოების ხელმძღვანელები მოვალენი არიან ყურადღებით განიხილონ ყველა კრიტიკული შენიშვნა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს შეატყობინონ, თუ რა ღონისძიებებია განხორციელებული ამ შენიშვნების გამო.

ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა პარტიის ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიკომს სისტემატურად უკეთებდეს ანალიზს პარტიული კრებების მომზადებისა და მოწყობის პრაქტიკას, განაზოგადებდეს და ავრცელებდეს დადებით გამოცდილებას, ახორციელებდეს ღონისძიებებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. პერიოდულად აბარებდეს ანგარიშს პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებს ან მთლიანად თავისი საქმიანობის შესახებ ან პარტიული მუშაობის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის ცალკეულ საკითხებზე. ყურადღება მიექცა იმას, რომ საჭიროა რაიკომის აპარატის მუშაობის სტილისა და მეთოდების განუხრელად გაუმჯობესება, მისი მაორგანიზებელი როლის გაზრდა, რაიკომის მუშაკთა პოლიტიკური ცოდნისა და საქმიანი თვისებების დაუცხრომელი ამაღლება, მათთვის პარტიული მუშაობის ხელოვნების სწავლება. (საქდესი).

საუბარი კრემლში

14 მარტს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ესაუბრნენ კამბოჯის სახელმწიფოს მეთაურს პრინც ნოროდომ სიანუკს, რომელიც მოსკოვში იმყოფება პარიზიდან სამშობლოში გზად მიმავალი.

საუბრის დროს საბჭოთა და კამბოჯის სახელმწიფო მოღვაწეებმა განიხილეს სსრ კავშირსა და კამბოჯას შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები და ერთმანეთს გაუზიარეს აზრები მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებზე. საუბარი გულახდილობისა და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა. (საკდესი).

საბჭოთა კადრების სწავლება

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში დამთავრდა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხარეო აღმასკომებისა და საოლქო აღმასკომების თავმჯდომარეთა მოადგილეების ერთთვიანი კურსები.

კურსების მონაწილეებმა შეისწავლეს სკკპ ისტორიისა და პოლიტიკის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისა და მეცნიერული კომუნიზმის, პოლიტიკური ეკონომიის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და მართვის აქტუალური საკითხები. სწავლებაში დიდი ადგილი დაიკავა პარტიული და საბჭოთა მშენებლობის საკითხებმა.

კურსებზე ერთმანეთს საფუძვლიანად გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება საბჭოთა მშენებლობის ძირითად საკითხებზე. კურსების მსმენელები გაეცნენ დედაქალაქისა და ოლქის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მუშაობას, დაათვალიერეს ზოგიერთი გამომთვლითი ცენტრი, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ინფორმაციის ინსტიტუტი. ისინი ეცნობოდნენ ლენინის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ადგილებს, დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

კურსების მუშაობის ბოლოს მსმენელთა წინაშე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი.

სამხატვრო აკადემიის შევსება

მოსკოვში სამ დღეს გრძელდებოდა სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის საანგარიშო-საარჩევნო სესია. 13 მარტს სესიამ მუშაობა დაამთავრა. სესიაზე მოხსენება გააკეთა აკადემიის პრეზიდენტმა ნ. ვ. ტომსკიმ.

სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიას შეემატა გამოჩენილ მხატვართა ახალი რაზმი. აკადემიის ნამდვილ წევრებად აირჩიეს ფერმწერი ე. ფ. კალნინში (რიგა), ფერმწერი გ. მ. კორჟევი (მოსკოვი), მოქანდაკე მ. გ. ლისენკო (კიევი), ფერმწერი ი. მ. ნეპრინცევი (ლენინგრადი), მოქანდაკე მ. კ. ანიკუშინი (ლენინგრადი), მოქანდაკე ვ. ბ. თოფურიძე (თბილისი).

სახვითი ხელოვნების რვა ოსტატი გახდა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტად კვლავ არჩეულია ნ. ვ. ტომსკი. ვიცე-პრეზიდენტებად არჩეული არიან ე. ვ. ვუჩეტიჩი და ვ. ს. კემენოვი. (საკდესი).

დიდი
ცხოვრების
ფურცლები

ლენინი — ამხანაგი, მეგობარი

გაზაფხულზე, როცა სწრაფად იღვიძებს ბუნება, ჩვენ აღვნიშნავთ ლენინის დაბადების დღეს, ვფიქრობთ ცხოვრებაზე, ვოცნებობთ მომავალზე.

და ეს ბუნებრივიც არის. ცხოვრება, მომავალი, ლენინი! ეს განუყოფელი ცნებებია. ეს არის ის, რაც ძალებს გვმატებს ახალი სამყაროს მშენებლობაში.

წარსულის მრავალი დიდი ადამიანის ბიოგრაფიის ფურცლები გასაოცარი თავმდაბლობის, არჩეული იდეალისადმი ერთგულების მაგალითია; მათი სული და გული ყოველთვის იყო ღია და ნათელი.

დიდი რევოლუციონერები, ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლნი თაობიდან თაობას მემკვიდრეობად გადასცემენ თავიანთ სიწმინდეს და ვაჟკაცობას, გონების სიმახვილეს და მისწრაფებათა კეთილშობილებას, თავმდაბლობასა და გულითადობას.

ბევრი მათგანი ჩვენთვის იყო და არის ადამიანურობის ნიმუში.

მაგრამ ერთ ადამიანს — ლენინს ყველა ჩვენგანის გულში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

მისი უკვდავი ბიოგრაფიის ყოველი შტრიხი უსაზღვროდ ძვირფასია ჩვენთვის.

ლენინი არის განსახიერება პატიოსანი ადამიანებისადმი, თავისი თანამებრძოლებისადმი უსაზღვრო სიყვარულის, მამობრივი და მეგობრული ზრუნვისა. ისტორიამ შემოინახა ამ გულისხმიერების მრავალი დაუვიწყარი მაგალითი. აი ზოგიერთი მათგანი:

მძიმე იყო საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები. ადამიანები ძალთა წარმოუდგენელი დაძაბვით მუშაობდნენ, ანგარიშს არ უწევდნენ სამუშაო დღის ხანგრძლივობას, შიმშილობდნენ, ცუდად ეცვათ. ბელადის მზრუნველი თვალი ამჩნევდა ერთის ავადმყოფურ, გადაღლილ გამომეტყველებასაც და მეორის გაცვეთილ ტანსაცმელსაც: „...წინადადებას ვაძლევ ცენტრალურ კომიტეტს დაადგინოს: დაევალოს ამხ. მენჟინსკის აიღოს შვებულება და დაისვენოს დაუყოვნებლივ მანამდე, სანამ ექიმები არ მისცემენ წერილობით ცნობას ჯანმრთელობის შესახებ".

საპყრობილემ და კატორღამ შეარყია ფ. ე. ძერჟინსკის ჯანმრთელობა. მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი დღედაღამ სამუშაოზე იყო, ზოგჯერ ძილი და დასვენებაც ავიწყდებოდა. „მთელი ჩემი დრო —ეს მხოლოდ განუწყვეტელი მოქმედებაა" — ხშირად ამბობდა იგი. როცა ვლადიმერ ილიას-ძემ შეიტყო, რომ ძერჟინსკის სისხლისღებინება დააწყებინა და დასასვენებლად წასვლაზე კი უარს ამბობს, მან წამოაყენა წინადადება, რომ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით დაევალებინათ ფელიქს ედმუნდის-ძისათვის წასულიყო შვებულებაში ორი კვირით ნაროფომინსკში. ძერჟინსკი იძულებული გახდა დამორჩილებოდა.

ვლადიმერ ილიას-ძემ გაითვალისწინა ყოველგვარი წვრილმანი, ისიც კი, რომ დასასვენებელ ადგილზე არ იყო ტელეფონი. ეს ხელს შეუწყობდა დასვენებას, რადგან ძერჟინსკი მოსკოვში ვერ დარეკავსო. შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ, როცა ძერჟინსკი სახკომსაბჭოს მორიგ სხდომას დაესწრო, ლენინმა მას შემდეგი ბარათი გადასცა: „მეტად მოხარული ვარ: გხედავთ ჩვეულებრივ თქვენს ადგილზე".

აი ასეთი იყო ლენინი!

ან კიდევ:

ცოტა ხნის წინათ „პრავდა" აღნიშნავდა საინტერესო ფაქტს: 1920 წლის ივნისში ირკუტსკის და ომსკის ტელეგრაფისტებმა მოსკოვიდან მიიღეს დეპეშა № 293. საბჭოთა მთავრობის მეთაური მიმართავდა თხოვნით ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს. აი ამ დეპეშის ტექსტი.

„გთხოვთ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოთ ჩემს ამხანაგს გადასახლებიდან ციმბირში ივანე ლუკას-ძე პრომინსკის, ინოკენტოვის დეპოს ვაგონების მზეთავს. მისამართი: ინოკენტოვი, მეოთხე ტორგოვაია, სახლი ლუკიანოვისა № 195. შემდეგ გთხოვთ გადასცეთ მას ტელეგრაფით ჩემი სალამი და, ბოლოს, გთხოვთ გადაიყვანოთ იგი ალტაის რკინიგზაზე უკეთეს ადგილზე. იგი უკვე მოხუცებულია. მიდეპეშეთ, რომ გააკეთებთ. ლენინი".

იმავე საღამოს რკინიგზელთა დაბაში გაჩნდა ირკუტსკის გუბერნიის რევკომის ავტომობილი. კომისარმა მონახა ვაგონების მზეთავი, რომელიც ახლახან დაბრუნებულიყო შორეული რეისიდან, მაგრად ჩამოართვა მას ხელი და გადასცა ლენინის სალამი. „მასაც გადაეცით სალამი, — უთხრა მღელვარე ხმით ძველმა მუშამ. — მისწერეთ, რომ ჩავალ, საჭიროა მისი ნახვა".

ირკუტსკის რევკომმა გაგზავნა დეპეშა კრემლში ლენინთან: „პრომინსკი ჯანმრთელად არის, მიემგზავრება ალტაიში. შეიძლება ჩამოვიდეს მოსკოვში". ივანე ლუკას-ძეს დაეხმარნენ გადასულიყო ახალ სამუშაოზე. ივლისის ბოლოს ვაგონების მზეთავი შორეული ციმბირის დეპოდან ჩავიდა მოსკოვში.

გამგზავრების წინ იგი დიდხანს უცქერდა ლენინის ფოტოსურათს, რომელიც უჩუქებია მისთვის ციმბირში წარწერით: „ამხანაგ ივ. პრომინსკის 1897-1900 წლებში ერთად ცხოვრების სამახსოვროდ". სტუმარი გულთბილად მიიღო ბელადმა. გამომგზავრების წინ მან მიიღო საინტერესო მოწმობა № 162, რომელიც დაწერილია ლენინის მიერ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ბლანკზე: „ამის წარმომდგენი ივანე ლუკას-ძე პრომინსკი ჩემი ძველი ამხანაგია გადასახლებიდან. ყველა რკინიგზის და სხვა ხელისუფალთ გთხოვთ აღმოუჩინოთ მას ყოველგვარი დახმარება მოსკოვიდან სადგურ სუჯამდე მგზავრობის დროს. გთხოვთ აღმოუჩინოთ მას სრული ნდობა. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი)".

მზრუნველობის კიდევ ერთი ფაქტი: 1921 წლის 15 ნოემბერს ვლადიმერ ილიას-ძე წერს ბარათს: „ამხ. ბელენკი! სტალინს კრემლში ისეთი ბინა აქვს, რომ ძილს არ ანებებენ (იქვე სამზარეულოა — ადრე დილიდანვე ხმაური ისმის).

ამბობენ, თქვენ გიკისრიათ მისი გადაყვანა მყუდრო ბინაში. გთხოვთ გააკეთოთ ეს რაც შეიძლება მალე და მომწერეთ, შეგიძლიათ თუ არა გააკეთოთ ეს და როდის". მალე ბელადი სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მდივანს სწერს: „ხომ არ შეიძლება დაჩქარდეს სტალინისათვის გათვალისწინებული ბინის განთავისუფლება?.

ძალიან გთხოვთ გააკეთოთ ეს და დამირეკოთ.... ხერხდება თუ არის დაბრკოლებანი".

აი ასეთი იყო ლენინი!

1919 წლის მაისია. მიმდინარეობს სახკომსაბჭოს სხდომა. უეცრად ცუდად გახდა სურსათის სახალხო კომისარი ა. დ. ციურუპა. ლენინმა მისწერა: „ამხ. ციურუპა! გამომეტყველება ავადმყოფური გაქვთ, ნუ დაკარგავთ დროს, წადით, ორ თვეს დაისვენეთ, თუ გადაწყვეტით პირობას არ მომცემთ, გიჩივლებთ ცენტრალურ კომიტეტში — ლენინი".

გამოძახებულმა ექიმმა დაადგინა, რომ ეს გამოიწვია ორგანიზმის ძლიერმა გამოფიტვამ. ვლადიმერ ილიას-ძემ, რომელიც ხედავდა ციურუპას ცხოვრების მეტად მძიმე პირობებს, სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს შემდეგი შინაარსის ბარათი გაუგზავნა: „15. V. 1919 წ."...

ციურუპა იღებს 2.000 მან., ოჯახში 7 კაცია, სადილი თითოზე 12 მან. (და ვახშამი), დღეში 84X30=2.52 მანეთი.

შიმშილობენ! იღებენ 4 სადილს, ეს ცოტაა. ბავშვები მოზარდნი არიან, სჭირდებათ მეტი, ვიდრე მოზრდილებს.

გთხოვთ გაუდიდოთ მას ხელფასი 4.000 მანეთამდე და ერთდროულად მისცეთ დახმარება 5.000 მანეთი ოჯახს, რომელიც უტანსაცმლოდ ჩამოვიდა უფიდან.

გთხოვთ მიპასუხოთ.

ლენინი".

მაგრამ ცნობილია, რომ ერთი წლით ადრე ვლადიმერ ილიას-ძემ უაღრესად მკაცრად დაგმო გადაწყვეტილება მისი ცხოვრების სიძნელეების გამო მისთვის თვიური ხელფასის 500 მანეთიდან 800 მანეთამდე გადიდების შესახებ. უფრო მეტიც, მან დაწერა სპეციალური განკარგულება სახკომსაბჭოსადმი:

„1918 წ. 23 მაისი.

სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველს

ვლადიმერ დიმიტრის-ძე ბონჩ-ბრუევიჩს.

ვინაიდან თქვენ არ შეასრულეთ ჩემი დაჟინებითი მოთხოვნა — გეჩვენებინათ ჩემთვის თუ რა საფუძველზე გამიდიდეთ ჯამაგირი 1917 წლის მარტიდან თვეში 500-დან 800 მანეთამდე, და ვინაიდან ეს გადიდება, რაც თქვენ თვითნებურად მოახდინეთ, საბჭოს 1917 წლის 23 ნოემბრის დეკრეტის პირდაპირ დარღვევას წარმოადგენს, გიცხადებთ სასტიკ საყვედურს.

ვ. ულიანოვი (ლენინი)".

დიდი ბელადი არასოდეს არ ივიწყებდა თავის ძველ მეგობრებს. 1920 წელია. პეტროგრადში თავრიდის სასახლეში მიმდინარეობს კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესი. კონგრესს საქართველოდან სხვებთან ერთად ესწრებოდა ჩვენი პარტიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე მიხა ცხაკაია. მას 1917 წლის აპრილის შემდეგ პირადად აღარ ენახა ვლადიმერ ილიას-ძე და პირველად ამ კონგრესზე შეხვდა მას.

ამაღელვებელი იყო ეს შეხვედრა.

ასე აღწერენ მას: პრეზიდიუმში მყოფი ლენინი რაღაცას წერდა, აწვდიდა ბარათებს, დაბალი ხმით ელაპარაკებოდა მეზობლებს. უეცრად გაჩუმდა, ყურადღებით დააცქერდა დარბაზს. სავარძლებს შორის ფრთხილად, ისე, რომ არ ეხმაურა, გზას იკვლევდა ყველა ღილკილოშეკრული მწვანე ფრენჩიანი მამაკაცი. მას სახე მოქანცული, სწორად ვარცხნილი ძლიერი ჭაღარა, შენელებული, მაგრამ მტკიცე მოძრაობა ჰქონდა.

— თითქოს ის უნდა იყოს, — ეჭვით თქვა ვლადიმერ ილიას-ძემ და დაუმატა: — დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, ის! მაშ მიხამ მაინც დააღწია თავი...

ვლადიმერ ილიას-ძემ ვერ მოითმინა, ფიცხლად წამოდგა, პარტერში ჩავიდა, სწრაფად [illegible] სახვედრად... მეგობრულად გადაეხვია, გაუძღვა პრეზიდიუმის მაგიდისაკენ და [illegible] დაიხარა და ჩურჩულით ჰკითხა [illegible] დიდხანს აცქერდებოდა დაღლილ სახეში...

ეს შეეძლო გაეკეთებინა მხოლოდ ლენინს!

გულკეთილობასთან, მეგობრულ დამოკიდებულებასთან ერთად ბელადს ახასიათებდა სისასტიკე კარიერისტების მიმართ, შეურიგებლობა პარტიისა და ხალხის მტრებისადმი. იგი გადაჭრით წყვეტდა ყოველგვარ ურთიერთობას ყველაზე მახლობელ ამხანაგებთანაც კი, როცა ეს უკანასკნელნი მცდარ პოზიციებზე დგებოდნენ და არ სურდათ სწორი გზით სიარული. ლენინს თავის დროზე ძალიან უყვარდა მარტოვი. იგი იყო ერთი იმათგანი, რომელთანაც ბელადი იყო „შენობით". მაგრამ როდესაც მარტოვმა უღალატა ბოლშევიკებს, ლენინმა გაწყვიტა მასთან მეგობრული ურთიერთობა. ლენინი დიდად აფასებდა პლეხანოვს. მაგრამ როდესაც პლეხანოვმა უღალატა ბოლშევიკებს, ლენინმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღა მის წინააღმდეგ.

ის მკაცრი იყო იმათ მიმართ, ვინც არღვევდა პარტიულ ან სახელმწიფო დისციპლინას, იჩენდა უხეშობას. როცა ერთხელ ლენინს უთხრეს სახბანკის მმართველის უღირს საქციელზე, მნახველებისადმი მის უხეშ მოპყრობაზე, მან, აღელვებულმა, ჰკითხა: „ვინ ხართ თქვენ? საიდან მოგდგამთ ეს ყოყოჩობა, ეს ბატონკაცური ჩვეულებანი? ხალხმა თქვენ სახელმწიფო სავარძელში ჩაგსვათ. მაგრამ თვითონ მას, ხალხს, შეუძლია გაგაპანღუროს..."

სწორად წერენ, როდესაც ეცნობი მასალებს ლენინის ადამიანობაზე, ყოველთვის გეუფლება ერთი და იგივე გრძნობა: სიხარული, სიამაყე და მღელვარება.

სიხარული და სიამაყე იმიტომ, რომ იგი: ლენინი ჩვენთან არის!

მღელვარება იმიტომ, რომ იგი: ცხოვრებაში, საქმიანობაში, დიდსა და პატარაში, უნდა იყო ისეთივე, როგორიც იყო ლენინი.

ვარ თუ არა ასეთი? ასევე თავდადებული, პატიოსანი, მართალი? ვარ თუ არა ისეთივე პრინციპული, უანგარო, უბრალო, ადამიანური?

ისევე მიყვარს თუ არა ჩემი ხალხი, ჩემი ქვეყანა, როგორც უყვარდა იგი მას? შემიძლია თუ არა, როგორც მას შეეძლო, ამხანაგს მივეფერო ადამიანური ალერსით, მტერს კი ფოლადზე მაგრა დავხვდე?

ჰკითხეთ თავის თავს ამის შესახებ ყოველთვის და ყველგან!

ულენინოდ და ულენინიზმოდ ჩვენი ცხოვრება და ჩვენი საქმიანობა წარმოუდგენელია ისევე, როგორც, ვთქვათ, მდინარე, სათავე რომ არა ჰქონდეს.

ფილიპე მახარაძე.

იუბილეს უძღვნიან

● დელი. დე[illegible] მინისტრთა მთავრობის გადაწყვეტილებით შექმნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ზეიმის მომწყობი ეროვნული კომიტეტის პირველი სხდომა, რომელზეც დაამტკიცეს საიუბილეო ღონისძიებათა პროგრამა.

● სოფია. ორშაბათობით და სამშაბათობით ტელევიზორთა ცისფერ ეკრანებზე ცოცხლდება დიდი ბელადის სახე. ბულგარეთის ტელევიზიამ თავის პროგრამაში ჩართო ლენინის იუბილესადმი მიძღვნილ სპეციალურ გადაცემათა ციკლი.

● ჟენევა. „შვეიცარია-სსრ კავშირის" საზოგადოების ლოზანის განყოფილებაში მოეწყო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო. მოხსენება თემაზე „ვ. ი. ლენინი — ჰუმანისტი, მოაზროვნე და მოქმედების ადამიანი" წაიკითხა მოსკოვიდან ჩამოსულმა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ი. ბ. ბორისოვმა.

მსოფლიო დღე

მხარს უჭერენ ზიმბაბვეს ხალხს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

◆

ნიუ-იორკი. 14 მარტი. (საკდესი). უშიშროების საბჭო განაგრძობს სამხრეთ როდეზიის მდგომარეობის საკითხის განხილვას. სამხრეთ როდეზიის ხალხს, განაცხადა პაკისტანის წარმომადგენელმა ს. ქარიმმა, აქვს თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უფლება, და ყველა სახელმწიფო უნდა დაეხმაროს მას ამაში. ძირითადი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მას უბედურება დაატყდა თავს, ინგლისს ეკისრება. უშიშროების საბჭო მოვალეა უფრო სერიოზული ღონისძიებანი განახორციელოს მეამბოხეთა წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ჩ. იოსტმა თქვა, რომ მისი მთავრობა არ აპირებს ცნოს სოლსბერის რეჟიმი. მაგრამ, მან ეჭვი გამოთქვა, რომ საჭირო იყოს ამ რეჟიმის წინააღმდეგ ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელება. სამხრეთ როდეზიასთან ურთიერთობის გაწყვეტას მან „უგუნური" ნაბიჯი უწოდა. იოსტმა მხარი დაუჭირა ინგლისის მიერ შემოტანილ რეზოლუციის პროექტს, რომელიც სჯერდება რასისტული უმცირესობის რეჟიმის უკანონო აქტების დაგმობას და მოწოდებას თავი შეიკავონ მისი ცნობისაგან.

ზამბიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი მ. ნკამა, რომელიც შეეხო ამერიკელი დელეგატის გამოსვლას, კატეგორიულად არ დაეთანხმა მის მტკიცებებს იმის შესახებ, რომ აფრიკა-აზიის პროექტში გათვალისწინებული ფართო სანქციები მეამბოხეთა წინააღმდეგ „მეტისმეტია". და მათი შესრულება თითქოს, გაამწვავებს სამხრეთ როდეზიის ისედაც საშიშ სიტუაციას.

ამ ქვეყანაში ვითარება, ხაზი გაუსვა მან, მწვავდება სწორედ იმის შედეგად, რომ დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფო ხელს აფარებს და მხარს უჭერს სმიტის რეჟიმს, რომელიც საზიზღარ დანაშაულს სჩადის ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობის მიმართ.

სამხრეთ როდეზიის ვითარებას შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს, თუ მის განვითარებას არ მოეღო ბოლო, განაცხადა იუგოსლავიის წარმომადგენელმა ლ. მოისოვმა. სამხრეთ როდეზიის „რესპუბლიკად" გამოცხადება უკანონო რეჟიმის უკანონო აქტია. უნდა განვახორციელოთ სასწრაფო და ეფექტიანი ღონისძიებანი მისი ლიკვიდაციისათვის. სამხრეთ როდეზიაში მთელ რიგ სახელმწიფოთა საკონსულოების დახურვა მხოლოდ პირველი ნაბიჯია ამ მიმართულებით. მან ხაზი გაუსვა, რომ იუგოსლავია სავსებით უჭერს მხარს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ზიმბაბვეს ხალხის სამართლიან ბრძოლას.

ინდოეთის დელეგატმა ს. სენმა დიდი შეშფოთება გამოთქვა საშიში ვითარების გამო, რომელიც სამხრეთ როდეზიაში იქმნება. ასეთ პირობებში, თქვა მან, საჭიროა კონკრეტული მოქმედება ამ ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობის დასაცავად. არ უნდა შევურიგდეთ იმას, რომ ინგლისი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიხედვით, და უარს ამბობს ძალა გამოიყენოს სოლსბერის უკანონო რეჟიმის წინააღმდეგ.

უშიშროების საბჭომ თქვა ფინეთის წარმომადგენელმა მ. იაკობსონმა, ერთსულოვნებით უნდა განახორციელოს ღონისძიებანი სამხრეთ როდეზიელ რასისტთა წინააღმდეგ, მან ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა ისეთი შეთანხმებული ღონისძიებების განხორციელება, რომ გააძლიერონ ზემოქმედება სმიტის რეჟიმზე. ამ მიზნით სახელმწიფოებმა ყოველგვარი ურთიერთობა უნდა გაწყვიტონ მასთან და გაიწვიონ თავიანთი წარმომადგენლები, გარიცხონ სამხრეთ როდეზია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული ორგანოებიდან, განახორციელონ უფრო ეფექტიანი ეკონომიური სანქციები და მკაცრად დაიცვან ისინი.

იმ კოლონიზატორთა წინააღმდეგ ძალის გამოყენებას, რომლებმაც ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში სამხრეთ როდეზიაში, მხარი დაუჭირა აგრეთვე ბურუნდის დელეგატმა ტ. ნსანზემ.

ტიტულჩამორთმეულნი

ლონდონი, 14 მარტი. (საკდესი). ინგლისის მთავრობა, რომელიც უარს ამბობს რაიმე გადამჭრელი ღონისძიებანი განახორციელოს როდეზიაში სმიტის რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ, ამავე დროს ცდილობს ისე მოგვაჩვენოს თავი, თითქოს უკომპრომისო პოლიტიკას ახორციელებდეს.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება გადაწყვეტილება, რომელიც ახლახან გამოაცხადეს ლონდონში. როგორც დღევანდელი გაზეთები იუწყებიან, ინგლისის დედოფალმა ელისაბედ მეორემ მთავრობის რეკომენდაციით მიიღო გადაწყვეტილება როდეზიის სამხედრო-საჰაერო ძალებსა და როდეზიის ქვეითი ჯარების ერთ-ერთ პოლკს ჩამოართვას „სამეფო" წოდების პრივილეგია. ამ ტიტულს აქამდე ატარებენ ინგლისის მთელი რიგი ყოფილი კოლონიებისა და დომინიონების ცალკეული გვარეობის შეიარაღებული ძალები.

ლონდონის პრესა ამ ღონისძიების მიმართ არ ფარავს თავის ირონიას. „მისი უდიდებულესობის მთავრობა, — აღნიშნავს, კერძოდ, გაზეთი „სანი", — სიამაყით აცხადებს სმიტის მეამბოხური რეჟიმის წინააღმდეგ თავის (უკანასკნელ) „გადამწყვეტ ღონისძიებას".

ინგლისის სიმბოლურმა ჟესტმა საეჭვოა გამოიწვიოს როდეზიელ რასისტთა რაიმე ემოცია. სოლსბერიში ჩინებულად ესმით, რომ ეს ღონისძიება მხოლოდ მორიგი, არაფრისმთქმელი დემაგოგიური აქტია, რომელიც მიზნად ისახავს როგორმე დაამშვიდოს საზოგადოებრიობა, რომელიც აღშფოთებულია იმით, რომ მთავრობას არ სურს ნამდვილად გადამჭრელი ღონისძიებანი განახორციელოს სამხრეთ როდეზიის რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ.

□

რამდენი კაცი ცხოვრობს მსოფლიოში?

ნიუ იორკი, 14 მარტი. (საკდესი). 1970 წლის შუახანებისათვის მსოფლიოს მოსახლეობა 3,6 მილიარდს მიაღწევს, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ გაერთიანებული ერების დემოგრაფიულ წელიწდეულში.

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მსოფლიოს მოსახლეობა 300 მილიონით გაიზარდა. ზრდის ასეთი ტემპით ყოველ 35 წელში მოსახლეობის რიცხვი გაორმაგდება და 2000 წელს 7 მილიარდს გადააჭარბებს.

ჩინეთი 730 მილიონი მცხოვრებით მსოფლიოს ყველაზე დასახლებულ ქვეყანად რჩება. მას მოსდევს ინდოეთი (524 მილიონი), საბჭოთა კავშირი (238 მილიონი) და შეერთებული შტატები (201 მილიონი).

მსოფლიოს ყველაზე დიდი ქალაქებია — ტოკიო (8 მილიონ 960 ათასი მცხოვრები) და ნიუ-იორკი (8 მილიონ 22 ათასი).

მოძალადეთა ზარალი მატულობს

ჰანოი, 14 მარტი. (საკდესი). ლაოსის პატრიოტული ფრონტის მებრძოლებმა ხუეისაის, სიენკუანგისა და სავანაკეტის პროვინციების ტერიტორიებზე 12, 19 და 28 თებერვალს ჩამოაგდეს ამერიკელთა სამი თვითმფრინავი და ერთი ვერტმფრინავი, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც კაოსან პატეტ ლაო სააგენტოს იმოწმებს.

ამრიგად, 1964 წლის მაისიდან ლაოსელმა პატრიოტებმა მოსპეს ამერიკელთა 1236 თვითმფრინავი და ვერტმფრინავი.

პოლიციური რეპრესიები

ჰავანა, 13 მარტი. (საკდესი). დომინგოს რესპუბლიკის დედაქალაქში პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღი და ცრემლსადენი გაზები გამოიყენა დემონსტრაციის გასარეკად, რომელიც მოაწყო ოპოზიციურმა დომინგოს რევოლუციურმა პარტიამ. არიან დაჭრილები, 70-ზე მეტი კაცი დააპატიმრეს.

როგორც პრენსა ლატინას სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, დემონსტრანტები გამოვიდნენ დედაქალაქის ქუჩებში, რათა პროტესტი განეცხადებინათ იმის წინააღმდეგ, რომ ახლანდელი პრეზიდენტი ხოაკინ ბალაგერი ცდილობს ხელახლა აირჩიონ არჩევნების დროს, რომელიც დანიშნულია მიმდინარე წლის 16 მაისს.

დამაიმედებელი შეხვედრა

ბონი, 13 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ი. ბორისოვი გვატყობინებს: დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობა უდიდესი ინტერესით შეხვდა ცნობას, რომ 19 მარტს ერფურტში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) გაიმართება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. შტოფისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ვ. ბრანდტის შეხვედრა. ამ შეხვედრას, რომელიც გაიმართება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დემოკრატიული და პროგრესული წრეები უკავშირებენ იმედს, რომ ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის დამყარდება ნორმალური თანასწორუფლებიანი ურთიერთობა საერთაშორისო-სამართლებრივ საფუძველზე.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენლებმაც გამოთქვეს კმაყოფილება იმის გამო, რომ მიღწეულია შეთანხმება ერფურტში შეხვედრის შესახებ. კანცლერმა ბრანდტმა გამოთქვა აზრი, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა მეთაურების მოლაპარაკებას მოჰყვება „გონივრული შედეგები". საგარეო საქმეთა მინისტრმა შეელმა განაცხადა რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში: „ვიმედოვნებ, რომ ეს შეხვედრა იქნება პირველი ნაბიჯი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის გაუმჯობესების გზაზე".

აშკარა დაბნეულობაა ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის-ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ბანაკში, სადაც უკანასკნელ მომენტამდე ჰქონდათ იმედი, რომ ვ. შტოფისა და ვ. ბრანდტის შეხვედრა არ გაიმართებოდა.

იაპონია

გაიხსნა „ექსპო-70"

ოსაკა, 14 მარტი. (საკდესი). დღეს მსოფლიო გამოფენის „ექსპო-70"-ის ფესტივალების მთავარი მოედნის ფლაგშტოკებზე ქვემეხების გრიალსა და ფანფარების ხმებში აღიმართა 77 მონაწილე ქვეყნის სახელმწიფო ალმები.

გამოფენის ოფიციალური გახსნის საზეიმო ცერემონიას დაესწრო 10 ათასზე მეტი კაცი. საპატიო სტუმრებს შორის იყვნენ იაპონიის იმპერატორი ხიროხიტო და მემკვიდრე პრინცი აკიხიტო, პრემიერ-მინისტრი ე. სატო და სხვა ოფიციალური პირნი.

მსოფლიო გამოფენები, თქვა გამოფენის გახსნის ცერემონიაზე იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ეისაკუ სატომ, ყოველთვის ხელს უწყობდა ცივილიზაციის პროგრესს. ამჟამად სულ უფრო საჭიროა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხისა და რაიონის ღრმა ურთიერთგაგება და ნდობა. სულითა და გულით ვისურვებდი, რომ „ექსპო-70" გახდეს საერთაშორისო დიალოგის ნამდვილი ადგილი.

შემდეგ დაიწყო ზეიმი. ბავშვთა ორკესტრის მუსიკის ჰანგებზე ერთად ცეკვავენ სხვადასხვა ერის ბავშვები და სიმბოლურად გამოხატავენ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დამკვიდრების იმედს.

„გამაოცა პავილიონის მასშტაბმა, რომელიც მას განასხვავებს დანარჩენებისაგან. მსურს კიდევ ერთხელ ვნახო იგი", — განაცხადა იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ე. სატომ, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დაათვალიერა საბჭოთა კავშირის პავილიონი მსოფლიო გამოფენა „ექსპო-70"-ზე.

პრემიერ-მინისტრთან ერთად საბჭოთა პავილიონი დაათვალიერეს საგარეო საქმეთა მინისტრმა აიჩიმ, ფინანსთა მინისტრმა ფუკუდამ და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

პრემიერ-მინისტრი ყურადღებით გაეცნო საბჭოთა პავილიონის ექსპოზიციას.

პარტიზანები უტევენ

ამანი, 14 მარტი. (საკდესი). პალესტინის „ალ-ასიფის" ორგანიზაციის პარტიზანებმა წუხელ განახორციელეს მორიგი რეიდი ისრაელ ოკუპანტთა წინააღმდეგ მათ მიერ დაპყრობილ იორდანიის ტერიტორიაზე. როგორც აქ გამოაცხადა პალესტინის გაერთიანებული სარდლობის წარმომადგენელმა, ოპერაციის დროს პარტიზანებმა რაკეტები დაუშინეს ისრაელთა სამხედრო ბანაკებსა და სხვა ობიექტებს ქალაქ ნაბლუსის ჩრდილოეთით და მოწინააღმდეგეს მიაყენეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მნიშვნელოვანი ზარალი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

დემოკრატებს დევნიან

ბონი, 14 მარტი, საკდესის კორესპონდენტი ვ. სეროვი გვატყობინებს: დასავლეთ გერმანიაში მიმდინარეობს დემოკრატთა დევნის ფართო კამპანია ნეოფაშისტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ საპროტესტო მანიფესტაციებში მონაწილეობის გამო. მარტო რურის ოლქში სასამართლო გამოძიება დაიწყო 1 ათასზე მეტი მოქალაქის — კომუნისტების, სოციალ-დემოკრატების, პროფკავშირთა წევრების, სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების წინააღმდეგ, რომლებსაც ბრალად ედებათ „წამქეზებლობა".

სინამდვილეში საქმე ეხება ანტიფაშისტური დემონსტრაციების მონაწილეთა მასობრივ დევნას. მაგალითად, მარტო რეკლინგჰაუზენში გამოძიება წარმოებს 356 კაცის წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ ქალაქში ნეონაცისტთა მეთაურის ფონ ტადენის გამოსვლის წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაციაში.

მანიფესტაციები ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ გაიმართა შარშან ზაფხულში ბუნდესტაგის არჩევნებისათვის მზადების დროს. მაშ რატომ გააჩაღეს დასავლეთ გერმანიის ხელისუფლებმა მრავალი თვის შემდეგ რეპრესიების კამპანია ანტიფაშისტთა წინააღმდეგ?

ეს აიხსნება იმით, რომ ხელისუფალნი ესწრაფვიან ხელი შეუშალონ პროგრესულ ძალებს, და უწინარეს ყოვლისა გერმანელთა კომუნისტურ პარტიას — აწარმოონ წინასაარჩევნო კამპანია ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის ლანდტაგის მომავალ ივნისის არჩევნებთან დაკავშირებით. შემთხვევითი როდია, რომ სასამართლო რეპრესიები უწინარეს ყოვლისა მიმართულია რურის კომუნისტების წინააღმდეგ, მათ შორის იმ კანდიდატთა წინააღმდეგ, რომლებიც გერმანელთა კომუნისტურმა პარტიამ დაასახელა ლანდტაგის არჩევნებში.

მეორე მხრივ, დემოკრატთა წინააღმდეგ რეპრესიები აქეზებს ფონ ტადენის ნეონაცისტურ პარტიას, რომელსაც ეს მიაჩნია ხელისუფალთა მხრივ მისი საქმიანობის მხარდაჭერად. ცნობილია, რომ რურის ოლქის ანტიფაშისტთა სასამართლო დევნა დაიწყო ბონის უშუალო მითითებით. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა გენშერმა განაცხადა, რომ იგი არ აპირებს რაიმე ღონისძიებანი განახორციელოს ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ. პირიქით, ახლანდელი კამპანია მოწმობს, რომ ბონელი თემიდა დევნის ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მოწინააღმდეგეებს.

სუეცში

მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში ისრაელის აგრესიის შედეგად კვლავ დაძაბულია. არ წყდება ბრძოლები სუეცის არხის ზონაში, რომელსაც ახლა ეგვიპტელები ყველაზე ხშირად ფრონტისპირა ზონას უწოდებენ.

ახლა სუეცში დარჩა არაუმეტეს 10 ათასი მცხოვრებისა 250 ათასიდან, რომლებიც ომამდე ცხოვრობდნენ. მთლიანად დანგრეულ ან ძლიერ დაზიანებულ საცხოვრებელ შენობათა მთელი კვარტალები, ნახევრადდანგრეული სკოლები, საავადმყოფოები, კინოთეატრები, მეჩეთები, დამტვრეული აგურის, ქვისა და მინის გროვები, მრავალრიცხოვანი ტრანშეები, ტანკსაწინააღმდეგო „ზღარბები", ქვიშით სავსე ტომრებით გაკეთებული ღობურები, საზღვაო ნავსადგურის ცარიელი ნავმისადგომები — ასეთია სუეცის დღევანდელი სახე.

ომის დაწყებიდან აქ 700-მდე მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. ასობით ქალი, მოხუცი და ბავშვი დაიჭრა. ქალაქის ხელისუფლებმა თავის დროზე მიიღეს სასწრაფო ზომები სამოქალაქო მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ევაკუაციისათვის სხვა რაიონებში.

მაგრამ, მიუხედავად მეტად ძნელი პირობებისა, ქალაქი სუეცი ცოცხალია და შრომობს. მუშაობს რამდენიმე ქარხანა, მომსახურების სფეროს მთელი რიგი საწარმოები, ადმინისტრაციული დაწესებულებები.

• • •

სურათზე: გაზეთების გაყიდვა სუეცის ერთ-ერთ ქუჩაზე.

ფოტო პრესენს ბილდ-საკდესისა.

ერაყი

ბარზანის განცხადება

პარიზი, 14 მარტი. (საკდესი). ქურთების ლიდერმა მუსტაფა ბარზანიმ ბაღდადის რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ქურთები იბრძვიან არაბთა ერთობისათვის. როგორც პრესის სააგენტოს ბაღდადელი კორესპონდენტი იუწყება, ბარზანიმ, კერძოდ, თქვა: „ჩვენ მხარს ვუჭერთ სამშობლოსა და თავიანთი უზურპირებული უფლებების აღდგენისათვის მებრძოლ არაბ ძმებს. ქურთები სავსებით მხარს დაუჭერენ არაბთა ერთობას იმ პირობით, რომ ერაყელ ხალხთან ეროვნული ერთობის ფარგლებში ქურთი ერის უფლებები გარანტირებული იქნება". ბარზანიმ აღნიშნა, რომ ქურთისტანის დემოკრატიული პარტია იბრძვის ავტონომიისათვის, და არა ცალკე სახელმწიფოს შექმნისათვის.

„რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე ქურთი კანდიდატის საკითხი, — განაცხადა ბარზანიმ, — გადაწყდება ივნისის დამდეგს ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ან მომავალ ყრილობაზე, ან პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. რომელიც მალე ყრილობის შემდეგ გაიმართება".

საიდუმლოს ფარდა ეხდება

დაკარი, 14 მარტი. (საკდესი). სამხრეთ როდეზიის მრეწველობას, განსაკუთრებით მის სამთამადნო საწარმოებს კონტროლს უწევენ ამერიკის კომპანიები, რომლებიც უზარმაზარ მოგებას იღებენ როდეზიის ქრომისა და სხვა იშვიათი მიწური ელემენტების დამუშავებით. ეს ნათქვამია დასავლეთ აფრიკის ყოველკვირეულის „აფრიკ ნუველის" უკანასკნელ ნომერში.

სამხრეთ როდეზიის მიმართ დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკური კურსის არსი, აღნიშნავს „აფრიკ ნუველი", ის არის, რომ აფრიკის შუაგულში შეინარჩუნონ რეაქციის დასაყრდენი აფრიკელ პატრიოტთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ჩასახშობად და განაგრძონ ამ ქვეყნის სტრატეგიული ნედლეულის მდიდარი საბადოების ექსპლოატაცია.



50

მრავალჟამიერ, შატილის მიწავ და მოდგმავ!

ნარკვევი

ბანზე ბერიკაცი გადმოდგა და ხელით მზე მოიჩრდილა, ჩვენს დანახვაზე სიპი ქვის კიბეებს ჩამოჰყვა და ბიჭებს გამოელაპარაკა. შორიახლო ზურგჩანთებზე ვისხედით და არ გვეყურებოდა, რას ლაპარაკობდნენ. მერე ხახმატურს გადაღმა თავის კბილა ბერიკაცს გასძახა: — ჰეი, ჰეი, ღვთისო, ქალაქიდან არიან, ცხენებ საქირავნოდ ეძებენ.

ღვთისომ თავი ზე ასწია, მიატოვა თიბვა. ეტყობოდა, ხახმატურას ხმაურში ვერ გაიგო ნათქვამი. როცა ძახილი გადააწვდინა მდინარეს, ღვთისომ თავის მხრივ სხვას გადასძახა და ძახილმა ყველა ხევსურის კარზე ჩამოიარა.

მზე წამოსამხრებულიყო. აგვისტოს ხვატი სახეში გვცემდა. ხევსურმა თავისი საჯდომი ცხენი გამოგვაყოლა, ცხენები ქალებმა დავითითოეთ და შატილისაკენ მიმავალ აღმართს შევუყევით.

ხახმატის დალოცვილ მიწაზე ბევრი მჟავე წყალია, სოფლის ბოლოს წყაროსთან მწვანეზე მწყემსებს ფეხი მოერთხათ და სადღეგრძელოებით ირიგებდნენ მჟავე წყლით სავსე მათარას. ჩემს მეგობარ ქალს ხელად შეატყვეს, ხამად რომ იჯდა, წამოხტნენ და ცხენს სადავე დაუჭირეს, თან ასწავლეს: უზანგებში ფეხი ღრმად ნუ გაქვს გაყრილი, ვინიცობაა ცხენმა წაიფორხილოს, ფეხი კინკიბურაზე გქონდეს მოკიდებული, გადმოხტომას ადვილად მოახერხებო.

მზემ უკვე მოასწრო და ბიჭებს შუბლზე ხვარხვარი ოფლი ჩამოადინა. მეცხვარეებს არ გამოჰპარვიათ, როგორ ათვალიერ-ჩამოათვალიერეს ბიჭებმა უბელო ცხენები. ყველის გუდები ჩამოეტანათ ბარში, საპალნეს მიჩვეული ცხენები მაინც თავჩაქინდრულნი ფრთხილად მიჰყვებოდნენ ბილიკს. შუახნის კაცმა მხარი მიაბა ბიჭებს და უთხრა: თუ შესხდებით, უბელო ცხენებზე შესხდითო!

ბიჭებს თქმა აღარ დასჭირვებიათ, უმალვე ზედ მოახტნენ, ხელები ფაფარში მარდად ჩასჭიდეს და აღმართზე აიყვანეს ფხაჭაფხუჭით. შატილის ხეობისაკენ რომ ვიბრუნეთ პირი, წინ მთა შემოგვეყარა, მისი გულიდან ცხრა წყარო ამოჩუხჩუხებს და მზეში აელვარებულ ცხრა ხმალივით ჰკიდია, ეს მთა როგორც კი ხახმატს გადაცდებით და ველკეთილს შეუდგებით, მაშინვე თვალწინ აისვეტება, თავის მედიდურობას, ძალას გაგრძნობინებს. თუ არხოტი განთქმულია ყელმოღერებული ჭიუხებით, თვალშეუდგამი სიმაღლეებით, დეკასა და ასკილის სურნელებით და უსაზღვროდ მაღალი ცით, შატილის ხეობა შეუდარებელია სითბოთი და ფერებით, გზებზე დაღვრილი მზე უბე-კალთებს გითბობს, უჩვეულო სიმშვიდით გავსებს, სიცოცხლის დაუსაბამო წყურვილს გაგრძნობინებს და სიკვდილს გავიწყებს. გავიწყებს ყველაფერს, რასაც ჭირ-ვარამი ჰქვია. როცა არხოტში მივდიოდით, მგზავრები გვეკითხებოდნენ,— შატილს თუ ყოფილხართ, აი ის არის ნამდვილი ხევსურეთიო... ახლა, როცა შატილისაკენ მივიჩქაროდით, არხოტს გვიქებდნენ.

თუ არხოტი თავისი ვაჟკაცური შემართებით აბჯარასხმულ რაინდს მოგაგონებს, თავისი გულამაყი ბუნებით გაღელვებს და გაფორიაქებს, შატილი ათას ერთი ღამის ზღაპარია. მთელი ბუნება სალბუნს გგვრის, გათბობს და გეხმატკბილება. როცა დიდი პირველყოფილი სილამაზის ნახვის წადილი მომივლის, თვალებს ვხუჭავ და შატილის ხეობაში ვსახლდები. არ ვიცი, რა შეიძლება ეწოდოს ამ ხეობას, ქვეყანაზე არც ერთი სიტყვა არ მეგულება მისი სიდიადის გამომხატველად. მაინც ჩადარდიანებულმა მთიებმა ასეთი ღვთისნიერი ფერები საიდან შემოინახეს. მისხალს არ გადავამეტებ, თუ ვიტყვი, რომ ეს გზა საყვარელი ლექსივით ჩამებეჭდა გონებაში და ყოველ ზაფხულს იქ წასვლის სურვილი დედულეთში წასვლის სურვილივით მეძალება.

მთელი გზა არღუნის ხეობა მოგვებღაოდა. ხან ჭალაკანში გაიტრუნებოდა, ხან ვიწრო კლდეებში გადმოგვიხტებოდა და ქვემოთ და ქვემოთ პაწაწკინტელა ღელეებსა და ნაკადულებს თავისკენ ეწეოდა. შატილის შორიახლო არღუნთან, მისივე ტოლფარდი მდინარე გადმოდის საჭიდაოდ. ამ წყალს უროს წყალს ეძახიან. მართლაც და უროსავით ურტყამს სიპ ლოდებს გაზავთებულ ჩქერებს და ისეთი სიმძაფრით მობორგავს კლდეში, რომ მის ფსკერზე მხოლოდ ქვიშას დაუდგია ბინა. წყალში ლოდები ვერ იდებენ დგრიტას. უროს წყალი თეთრი ფერისაა და ისე ქაფქაფებს, გეგონება მდინარე კი არა, ღრუბლები მომსკდარან მთიდანო. მთაში ყველა ხევი ცივციველაზე ცივციველაა. ბიჭები მაინც უძალიანდებოდნენ და საცურაოდ შედიოდნენ, მაგრამ ამ წყალში შესვლისთანავე გველნაკბენივით გამობრუნდებოდნენ, უროს წყალს სათავე ყინულიან მთებში ჰქონია, ამიტომაც ყოფილა ასეთი ყინულის ფერი და სეტყვასავით ცივი. ამ ორი მდინარის ძმობის კერასთან ზედ გზის პირზე მტირალა კლდეა გადმოკიდებული. ამ პატარა გამოქვაბულში ზამთარ და ზაფხულ დღითა და ღამით გადაუღებლად წვიმს, წვიმს, ჩუმად იღვენთება ბებერი კლდე და ყინულის ლოლუებივით ჰკიდია გახევებული სტალაქტიტები ირგვლივ. ლებაისკარამდე ისე ვიარეთ, გზაზე მგზავრი არ წამოგვეწყდომია. როცა სოფელს გამოვცდით და გორაზე ავედით, ორი ცხენოსანი წამოგვეწია. ცხენებს დასჭყიოდნენ და მიმინოსავით მოფრინავდნენ. ბილიკზე ასაქცევი გზა არ იყო და შორიდანვე დაგვეხმაურნენ.

— ცხენები გააჩქარეთ!

— სად გეჩქარებათ?

— გვეჩქარება მწყემსებთან საჭმელი მიგვაქვს, — ძლივს დაამტვრია ქართული ერთმა. როცა თავზე წამოგვადგნენ და ქალებს შეავლეს თვალი. ჩამოხტნენ და დამრეც ფერდობზე წლაფერდად გაიყვანეს ცხენები. აზერბაიჯანელი მეცხვარეები გამოდგნენ. ერთი ისე სხაპასხუპით ლაპარაკობდა ქართულს, ქართველი გეგონებოდა. მეორემ საყდელპურო ქართული იცოდა.

— სად მიდიხართ?

— შატილში!

— მერე არ გეშინიათ ეს ქალები ქისტებმა მოგტაცონ — თავის სიტყვებზე თვითონვე არხარხდნენ.

ძალიან გულღია ბიჭები იყვნენ, დიდხანს მოდიოდნენ ჩვენს კვალდაკვალ.

— არ დაიღალეთ? — წამოდით აი იმ მთის გაღმა ფერმა გვაქვს!

— ახალ ყველსა და ხაჭოს გაჭმევთ! — დაუმატა მეორემ.

— წამოდით ჩვენს ბინაზე, დღეს ერთი ბატკანი კლდიდან მოსხლტა, ფეხი აქვს მოტეხილი.

— ჰოდა წამოდით — სიტყვა ჩამოართვა მეორემ.

— თათარიახნად ცხვარს ჩამოვატყავებთ, ყაურმასაც გავაკეთებთ და გამწვადავებთ.

ერთიც გვინდოდა და მეორეც. მაგრამ შატილში მისვლას ვეშურებოდით და გავაწბილეთ სტუმარს დანატრებული მასპინძლები.

— ნუ ამბობთ უარს — გულიანად გვთხოვდნენ და გულღიად გვიცინოდნენ, მერე უცებ იკითხეს:

— თოფი გაქვთ? ჩვენს ფარეხს მგელი ჰყავს შემოჩვეული.

არც თოფი გვქონდა და არც ბატარია თვალებში მაინც რომ მიგვენათებინა თავზე წამომდგარი ნადირისათვის.

— აბა რომ წამოვიდეთ, რა ფასი აქვს ჩვენს სტუმრობას, თოფი არა გვაქვს, — ერთხმად უთხრეს ბიჭებმა.

— არა უშავს რა, ბევრნი რომ ვიქნებით, ყველამ ერთხმად რომ დავცეთ ყიჟინა, მგელს იმითაც შევაშინებთ. წყაროსთან მოვედით, მწყემსები ფერმის ბილიკზე გადავიდნენ და შემოგვაჩერდნენ

— არ მოდიხართ მაშა? — დანანებით თქვა შუახნის მწყემსმა.

— თქვენმა ძმობამ გულიანად გთხოვდით!

— ეს გოგოები დაგვიშინეთ, ძმაო, და აბა როგორღა წამოვალთ!

— ჩვენ თვითონა გვაქვს ერთი საფანტიანი თოფი, ნუ გეშინიათ, მოკვლით ვერ მოვკალით ის ოხერი, მაგრამ ყოველ ღამე მაგარ შიშსა და ფეთებას კი ვაჭმევთ ხოლმე.

— ხვალ თუ აკლდამების ნახვა მოვასწარით, ხვალვე უკან გამოვბრუნდებით. აზერბაიჯანელებს თვალები გაუბრწყინდათ.

— კარგი! ხევის პირას ჩამოვლალავთ ცხვარსა და იქ დაგიყარაულდებით.

— იმ ბატკანს ხვალი თქვენს ბედობაზე დავკლავთ იცოდეთ! — მერე ქუსლი ჰკრეს ცხენებს და ბილიკზე მტვრის კორიანტელი დააყენეს.

მეგზური არ გვახლდა და საკუთარ ალღოსა და ცოდნაზე ვიყავით დანდობილნი. ვარაუდით ვიცოდით, შატილს მიახლოებულები ვიყავით. ისიც ვიცოდით — შატილის ციხე სოფლიდან ორიოდე კილომეტრით იყო მოშორებული, მდინარე არღუნის პირას კლდოვან მთაზე იყო წამომდგარი მრავლისმომსწრე და გამარჯვების მეზაირალე. ყველას წინ გაგვირბოდა თვალი, კლდიდან კლდეზე შატილის ციხეს ვეძებდით, ვცდილობდით წინ გაგვესწრო ერთმანეთისათვის. რატომღაც, ციხე ჩემს წარმოდგენაში ყორნისფრად მესახებოდა და გარს ყორნები უნდა ჰყოლოდა შემომსხდარი.

მზე ჩავიდა, ქლიავისფერი მოედო შემოგარენს. გულდაწყვეტილნი მივყვებოდით ბილიკს, დღისით, მზისით, ციხის დანახვის იმედი დავკარგეთ, ნაბიჯსაც ვუკლით თანდათან. არღუნს კალაპოტი დაუვიწროვდა, ხეობა და ბილიკი თითქმის ერთმანეთს გადაეხლართნენ და მხარდამხარ მიჰყვნენ ერთმანეთს. მდინარეს ზათქი და რიხი მოემატა და

უცებ მიუვალ კლდეზე, თითქოს ცასა და მთას შუა ჰკიდიაო, ციხე დავლანდეთ!

ფრთები გაეშალა შატილის ციხეს, თითქოს ცაში გასაფრენად გამზადებული არწივიაო. ცხენები შევაჩერეთ, სიჩუმე ჩამდგარიყო ციხის კედლებში, სიპი ქვით ნაშენი გალავანი ნირშეუცვლელი იდგა, ციხე არღუნიდან სამასიოდე მეტრზე იყო შეკიდული მთა კლდოვანი და ძნელად ფეხმოსაკიდი იყო. ახლა წინიდან დავუარეთ ციხეს. ისევ, ამაყი და მედიდური, ფიქრიანად გამოსცქეროდა არღუნის წყალს, თითქოს ამბობდა: ჩემი ვალი მომიხდიაო, ახლა შენთვის დამითმია, არღუნო აქაურობა, იქუხე, შეაზანზარე ჩემი დახავსებული კლდის კედლები, რომ ძილმღვიძარემ თავი ცოცხლებში ჩავთვალო და ჩემივე დავიწყებული თავი, თვითონვე გაგახსენოთო.

ღამდებოდა, წყალგაღმიდან დავეხმაურეთ შატილის ციხეს, ძახილმა ხევს გადაუარა და გალავანზე მიყუჩებული ყორნები წამოაფრთხო, აცვივდნენ და სივრცე ჩააჟამეს. მერე ერთხანს ირაო შეჰკრეს. როცა მივჩუმდით, ისევ ჩამოიდაბლეს საფრენი გზა, ფრთები დაიბერტყეს და გალავანზე ჩამოწვალიკდნენ. გეგონება, ხევსურებს მტრის გამხმარი თავის ქალები დაუკიდიათ გალავანზეო.

გულდაწყვეტილებმა გავწიეთ წინ, ვიცოდით — არც უკან გამობრუნებულებს გვეღირსებოდა ციხეზე ასვლა. საამისო დრო აღარ გვრჩებოდა და როგორც უცაბედად ამოისვეტა წეღან ჩვენს წინაშე შატილის ციხე, ისე უეცრადვე გაგვექრა თვალთაგან. შუბივით შემართულმა კლდემ ჩაკეტა ბილიკის გასავალი და, ვითომდა აქ არაფერიაო, ციხე იდუმალების ბურუსში გახვია. ესეც საყურადღებო იყო. ციხე ისე მოხერხებულად იყო ნაშენი, რომ მტრისთვის ახლოდანაც და შორიდანაც ძნელად თვალმისაწვდომი ყოფილიყო.

რაც უფრო ვუახლოვდებოდით შატილს, ხეობაში დაგუბებული მუქი თვალთაგან გვეკრებოდა. გზაში ჩაგვღამდა, ბიჭები თავს ინუგეშებდნენ, შატილი დაღამებულზე უფრო კარგი სანახავი იქნებაო. ცაზე წინამასწარა ვარსკვლავები თვალებს აფახულებდნენ. ბილიკმაც დაიძინა, არღუნსაც თვლემამ წაჰკრა და ყველაფერი — მთაცა და ცაც, ხეცა და კაციც შატილის ციხესავით დუმილში გაეხვია, უცებ ელდასავით გამოვარდა გზაზე ქოფაკი და ფერი გვაცვლევინა. ავიხედეთ, თავზე წავდგომოდით მძინარე შატილს, ბნელში გაყუჩებულსა და მომლოდინეს. ვხედავდი უკვე ვარსკვლავებით მოჭახჭახებულ ცის ქვეშ, კლდეში მერცხლის ბუდესავით გამოძერწილ საკლებს, ვხედავდი შეუდრეკელსა და გოროზად მდგარ სოფელს. ვხედავდი, ჩამქრალ სარკმელში ასი შუქურა როგორ ბინთო, და ასი დევის თვალებმა როგორ გამოიხედა. და ასივე ხმამ ერთად დაიბუბუნა: — ვინ ხარის მანდ? მტერი თუ მოყვარე?

— დუმილში ძაღლები აყეფდნენ. დაგმანულ ფანჯრებში სანათურები ბჟუტავდნენ. და ასე მეგონა — ამ ჩარაზულ კარებს იქით იდგნენ წვერმოშვებული გოლიათები. მათი შიშით გარეთ ყველანი გავიტრუნეთ. მხოლოდ არღუნმა გაბედა ხმის ამოღება, ისიც იმიტომ, რომ აქაური ჯიშისა იყო. მართლაც და ჩვენს წინ შატილი კი არა, ქაჯეთის ციხე წამომართულიყო კლდეში ჩაკირული და იდუმალებით სავსე. ციხის შიგნით იარაღს აჟღარუნებდნენ და სარკმლიდან ასი მზეთუნახავი იჭყიტებოდა! ჩემს წინ სინამდვილედ აცხადებული სიზმარი იდგა. სწორედ ისეთი შატილი დამხვდა ცხადლივად, როგორიც ოცნებაში წარმომედგინა, არღუნსა და შატილურას შუა მოქცეული, გზა ბუნებრივი კლდეკარით ჩაკეტილი. ვინიცობაა მტერი მომდგარიყო, თითო-ოროლა კაციც ეყოფოდა გასამკლავებლად. გაღმა-გამოღმა თითონაც რომ ჩამდგარიყვნენ, სუყველას თავებს დააყრევინებდნენ.

ამ საოცარ სოფელს, საოცრად ლამაზი მდინარე ჩამოუდის. შატილურა ისეთი პატარა და ფერადოვანი წყალია, ხელში ატატება მოგინდება. ხან ლილისფერი გადაჰკრავს, ხან ისეთია, გეგონება, მდინარე კი არა, ლაჟვარდი მოცურავსო. შატილიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, მარტო სანათურები გვამცნობდნენ, რომ სოფელს ჯერ არ მიეცა ძილისთვის თავი.

ბიჭები ძაღლების ყეფას არ შეეპუვნენ, გალავანს მიადგნენ. „ჰეი, ჰეი, მასპინძელო!" კარი გაჭრიალდა და ვიღაცა გაგვეხმიანა. მერე ქალის ხმაც შემოგვესმა — ქვემოთ ჩაჰყევით მდინარეს, მანდვეაო ლუდუშაური.

ბიჭები სიბნელეში გაუჩინარდნენ და აღარ გამოჩენილან. ერთი-ორჯერ გავძახეთ და გავიტრუნეთ, ძაღლებმაც იგრძნეს შორიახლოს ვტრიალებდით და ხმაგაკმენდილნი შემოგვყურებდნენ გალავნის გაღმიდან. ბარგაკიდებული ცხენები ჯერ არღუნს გაჰყვნენ ზევზევით, ცხენმა გამოუცდელი მხედრის ხელი იგრძნო, იძალა და აღვირი გამომგლიჯა აღარ შემეპუა, ბილიკს დაადგა. ცხენები ხიდზე გავიდნენ, სკოლის შენობისაკენ წინ შედგნენ. ცხენი ცოტა ხანს იდგა ყურებჩამოშვებული, მერე ფაფარი დაიბერტყა. მთელი ტანით შექანდ-შემოქანდა და ბარგი-ბარხანა უნაგირიანად ძირს გადმოაზვავა. თითქმის შიგ ტყეში ვიდექით და ჩაყინჩებულ ტყიდან თვითეული ხე და ბუჩქი მგლადა და ნადირად მეჩვენებოდა: არღუნს გადაღმა კი ქაჯეთის ციხე იდგა, და თავის საუფლოს თვალში ატარებდა. ბიჭებს ბევრი ერბინათ, მძიმედ სუნთქავდნენ.

— აქ სად წამოსულხართ!

არ გავვიცია ხმა. მერე როცა მიყრილ-მოყრილი ბარგი დაინახეს, მიხვდნენ ყველაფერს და გაიცინეს.

— კარგი შიშ-ფეთება გაჭამეს არა? — კიდევ აგვეჭიაფანდურებით კაცებს?... ბიჭებმა გამხმარი შეშა დაანაკვერჩხალეს და სახელდახელოდ კარტოფილი მოთანთქლეს. შიოდათ და ხურჯინს ქექვა დაუწყეს. ჩვენ კი ძილისთვის თავი გვეკვდებოდა და ლუკმის გატეხის თავი არა გვქონდა. ბიჭებმა იხტიბარი არ გაიტეხეს, არღუნზე პამიდორი და კიტრი ჩაიტანეს გასარეცხად, ჩვენ კი საძილე ტომრებში გავეხვიეთ. სითბომ დაგვამშვიდა და იმ წუთშივე თვლემა მოგვერია. ცა მოჭახჭახებული იყო და აღარ მახსოვს, ცხადად თუ სიზმარში ვარსკვლავები წყდებოდნენ ზეცას თუ ოქროს ქოშები ცვიოდნენ. აგვისტოს ღამე თვალებში ჩაგვესახლდა. ნანახი და განცდილი დაქანცულ გონებაში წითელყვითელ სიზმრებად აირივნენ. ისე ყინჩად დაგვეძინა, ლეკის ჯარიც რომ მოგვეხტომოდა, ვერ გაგვაღვიძებდა. ირიჟრაჟა თუ არა, მთის წვეროები ალისფერდნენ. ნებაზე მიშვებული ცხენები ფერდობიდან ჩამოსულიყვნენ, შორიახლოს დაბალახობდნენ და ფრუტუნებდნენ. წამოვიშალეთ, დღის სინათლეზე რომ დაგვენახა სიზმრებში ნანახი შატილი. გავხედეთ გაღმა ნაპირს. აცხადებული ზმანება გვიდგა თვალწინ. ჩვენს წინ პირვანდელი ქაჯეთის ციხე იდგა, ღამეული იდუმალებითა და დევის საჭრეთლებით გამოჭრილი ოთახებით. ასეთი დიდებული და თავისებური სოფელი ალბათ მეორე არც იქნებოდა დედამიწაზე.

მზე ამოიწვერა, შატილში ჩამიჩუმი არ ისმოდა. ალაზა ხაიაურმა საბანი წაუღო მასპინძელს და მის ძახილზე ყურად მიწოლილი ძაღლები წამოიფარფნენ. მასპინძელი გულღია კაცი გამოდგა. რაღაცას ეჩიჩინებოდა, ხან ჩვენ გვიქნევდა ხელებს, და როგორც იქნა ალაზამ საბანი შეაჩერა და ხელიდან დაუსხლტა.

ახლა ანატორი გვრჩებოდა სანახავი, ხევსურთა მრავალწლოვანი ძვალშესალაგი და საგოდებელი. ცხენები შევკაზმეთ, ბარგი წამოვკიდეთ და გულდამძიმებულნი აკლდამებისკენ გავეშურეთ. ძნელად ვინმე თუ იქნება, ამ საგოდებლის ნახვაზე გულზე ტკივილი არ შემოაწვეს და მძიმედ არ დანაღვლიანდეს.

— კიდევ კარგი, გუშინ საღამოს აქამდე ვერ ამოვაღწიეთ, თორემ, თვალზე რულს რა მომაკარებდა, — გავიფიქრე

აკლდამები ორ ხეობას შუაა მოქცეული. მარცხნიდან არღუნი, მარჯვნიდან კი არდოტი ჩამოუდის. მასპინძელს შინ აღარ დასდგომოდა გული და ჩვენკენ გამოეწივნა.

— რამდენი კილომეტრი იქნება აქედან შატილამდე?

— ორი-სამი!

— ეს ადგილი ხევსურთა საგოდებელი ყოფილა წინათ.

— ერთნი ამბობენ, თითქოს წინათ ეს ადგილი ხევსურთა ძვალთშესალაგი ყოფილიყოს, ჩვენი მამაპაპანი კი სულ სხვას გვიყვებოდნენ შვილთაშვილებს — შატილს შავი ჭირი დარევია, ყველაფერი უმწეო გამომდგარა, ხმალიც და ფარიც, ამ უცნაურ სნებას არც ტყვია კლავდა და არც წამალი შველოდა, სოფელს სნება განუკითხავად მოსდებია, მკვდრის გორები დამდგარა შატილში. მაშინ ესღა ულონიათ შატილელებს, ამ პატარა ბორცვზე ნათალი, სიპი ქვით აუშენებიათ აკლდამები და ვინც შეატყობდა თავს, რომ სნება უჯდებოდა ჯანში, იმ წუთშივე უყოყმანოდ ტოვებდა ოჯახს, და ამ აკლდამებში მარტოდმარტონი, უნათესაოდ და უნუგეშოდ ხუჭავდნენ თვალებს ერთ-ერთ აკლდამაში აკვნით მომაკვდავი ბავშვი შეუყვანია დედას, თვითონაც თან შეჰყოლია და ზედვე დაჰკვდომია. ახლაც აკლდამის შუაგულში დგას აკვანი, ზედ კი ადამიანის ჩონჩხია გადაკიდული, ალბათ ეს ბავშვის დედა იყო, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ძუძუს რომ აწოვებდა პირმშოს.

— ამ აკლდამებში დიდი ცოდვა ტრიალებს, შვილებო!

— აკლდამაში შესასვლელიც ისე მოზომილად არის ამოჭრილი, რომ ნადირი შიგ ვერ შემძვრალიყო ადვილად. — მაინც რა ჭკვიანურად არის ნაშენები: საუკუნეებს გაუძლებს უკირქვიმოდ ერთმანეთზე ასე უბრალოდ დაწყობილი ნათალი ქვები.

— გასაგებია, — სიტყვა ჩამოართვეს ბიჭებმა, — მაშინ ქისტებსა და ხევსურებში დიდი მტრობა იყო. ამ საგოდებლიდან ამდგარი ქარი ქვემოთ მდინარეების დინებას მიჰყვებოდა და მტრებს მტრულად დაერეოდა.

ისეთი დამწუხრებულნი ვბრუნდებოდით, თითქოს ძალზე ახლობელი ვინმე მიგვებარებინოს სასაფლაოსათვის. შუადღემდე არც არსად შევისვენია, არც წასახემსებლად შევმდგარვართ. რაღაცნაირად ბუბუნებდა ხევი, ცაც უცნაურად ღაღანებდა და თვალთვალ მარტის მთვარესავით იცვლებოდა ლურჯი ცარგვალი. მთების კალთები სულ სხვანაირად ფერადოვნებდნენ. მერე ხეთა პაწაწინა ჩრდილებიც წამოთამამდნენ, ჯერ ბილიკებზე გადმოვიდნენ, მერე წყალშიც ჩაიყურყუმელავეს და როცა მზე ცეცხლივით მოედო ცას, ხევის წყლიდან ამოვიდნენ და წყალგაღმა ფერდობებზე გაწვნენ. ისევ ყვაოდნენ გზებზე ათასი უსახელო ნაირფერები. ისევ მოვადექით მტირალა კლდოვანას და ძმათა ხევებს, თეთრად ფაფარაშლილ უროს წყალსა და არღუნს. ბიჭები დაეხარბნენ ბანაობას და გაოფლილები შეცვივდნენ წყალში. შუა აგვისტო იყო და მზესაც დიდი გული ჰქონდა, მდინარეს ლაპლაპი გაჰქონდა და ბანაობა სწორედ რომ სულის ცხონება იყო, ბიჭები მკერდს არიდებდნენ ტალღებს, მოგვერდს ახვედრებდნენ ყალყზე შემდგარ ზვირთებს, რომ არ წაექცეულიყვნენ, თავის სიმძლავრის მოიმედე წყალი ბულდავული მოდიოდა და გზაზე არაფერს ინდობდა. გოგოებმა წყალში შესვლა ვერ შევბედეთ. გზა საშური გვქონდა. დილიდანვე ისე დავიჭირეთ თადარიგი, საღამომდე ხახმატამდე ჩავეღწია, მაგრამ ჯერ ნახევარ გზამდეც არ ვიყავით ჩაღწეულნი, უკვე შუადღე გადაწეულიყო. მაინც ვერ ველეოდით, ვერც ხევებსა და ვერც ცივციველა წყაროებს, წამდაუწუმ ვჩერდებოდით.

ახლა ქვეითად მოვდიოდით, ისევ მოვიკრიბეთ ღონე და აღმართი ავიმოკლეთ. მდინარეზე ხიდი არ იყო, ბიჭებმა ფეხთ დაიხადეს და ის იყო წყალში შეტოპვას აპირებდნენ, რომ წყალგაღმა ვიღაც მოდგა და ძახილი დაგვიწყო, როცა წყალგაღმა გავედით და ფერდობზე ცხვრის ფარა გამოჩნდა, მივხვდით გუშინდელი მწყემსები იყვნენ. ჩვენ გველოდნენ. მაინც ფეხი უკან გვიდგებოდა, ისევ სოფელში გვერჩივნა ღამის გათევა. მიხვდა თუ არა შამილა, ლებაისკარის გზა რომ ავირჩიეთ, რიყე გადმოირბინა, ცხენებს აღვირში გვიტაცა ხელი და თავიანთ ფარისკენ მოგვაბრუნა, ბიჭებს შეეცოდათ მთელი თვეობით ყიზლარებში გადმოკარგული, ადამიანს დანატრებული მეცხვარეები და ნებაზე მიჰყვნენ.

— უთქვენოთ ბატკანი არ შეგვჭამეთ, დილას აქეთ ფერდობზე ვაძოვებთ ცხვარს და გელოდებით! მივედით თუ არა, იმ წუთშივე ცეცხლს შეუჩიჩხინეს და შეშა დაანაკვერჩხლეს, მერე წყაროსთან მიგვიყვანეს, ხელპირი დაგვაბანინეს, და როცა შემოვბრუნდით, ჰაერში ყაურმისა და მწვადის სუნი ტრიალებდა. გვიან ვახშმობამდე ვისხედით უღრუბლო ცის ქვეშ და ერთმანეთს ტყუილ-მართალის მოყოლაში ვეჯიბრებოდით, მასპინძლებმა კარვის გაშლა შემოგვთავაზეს. მაგრამ ისეთი მოჭახჭახებული და ვარსკვლავებით ლიცლიცა ცა იყო, კარავში რა დამაძინებდა. ცეცხლის პირას გაშალეს ნაბდები და ქეჩები, ზედ საძილე ტომრები გავიგეთ, მასპინძლებმა ნაბდები წაიღეს და ცხვრის ფარას გვერდით მოუწვნენ. კარგა ღამე იქნებოდა გადასული, ფარეხში ერთი ალიაქოთი ატყდა. — მგელი, მგელი, — გაჰყვიროდა შამილა მწყემსებს.

ანაზდად მწყემსები ფეხზე დადგნენ, ვაიუშველებელი ყიჟინა ატეხეს. მგელს უკან გამოეკიდნენ და საფანტიანი თოფი დააქუხეს.

როცა წამოვდექით, მგელი ალბათ უკვე მთებს იქით იქნებოდა გადაბუნაგებული.

— აჰ, ერთი ორლულიანი თოფი მომცა, მაშინ ვაჩვენებდი მაგას სეირს. ევრე მასხარად რომ გვიგდებს ყოველ ღამე, — ჩიოდა შამილა და ერთ ადგილზე ვეღარ ისვენებდა. მერე ნაბადში გაეხვია და ვიდრე ძილმა არ წაართვა თავი, სულ იმას გაიძახოდა, ხვალღამ სულ არ მოვხუჭავ თვალს, დღეს ხახმატში გადავალ, მონადირის თოფს ამოვიტან, და ნახავ თუ არ ჩაგაძაღლებ, შე ღდინძაღლო შენა!

შამილას ალბათ ისიც აწუხებდა, რაკი თავი ვერ ისახელა და ხელმოცარული დაბრუნდა უკან. შებინდისფერებული იყო, როცა ბარისახოდან გუდანამდე ავიკარით. უკან დავტოვეთ ჭრელა-ჭრელა ყვავილებით მოფარდაგებული მთები, მზის შუქით სახეგამდიდრებული ტყეები, სინამდვილედ აცხადებული ზღაპარი, და ორი არაგვი გამოვტოპეთ.

თუ გინდა შატილის ხეობა შეიტკბო და შეისისხლხორცო, იარე მის ცალფა ბილიკებსა და ხევებში. ვიდრე დღე მოდღევდებოდეს და სამხრობა ჩამოდგებოდეს. მერე ვიდრე ცაზე ვარსკვლავთ ხომლები ალიცლიცდებოდეს, სადმე ცივციველა მდინარის პირას ჩაიმუხლე.

მზის ჩასვლის შემდეგ ჰაერი გაგრილდა, ვჩქარობდით თვალნათლივ ჩავსულიყავით ბარისახოში. როცა რის ჭაპანწყვეტით გზა გავიარეთ, ყურს მანქანის ხმაური მოსწვდა. ისევ გავუმხიარულდით ერთმანეთს და ჩანჩქერებამდე თითქმის სირბილით დავეშვით. ზოგჯერ ისე ხარ გაოცებული კაცის გულუხვი მწყალობლობით და გულუხვი სიკეთით, რომ მადლობის თქმაც გავიწყდება, სამადლობელი ვუთხარ დუშეთელ მძღოლს, რომელსაც ვილისში 6 კაცი ეჯდა და არც კი დაფიქრებულა ისე გაგვიღო კარი, სიარულისაგან არაქათგამოცლილებს. ყველანი პირგაღიმებულები შემოგვხაროდნენ. ყველამ იცოდა, რომ მაღაროსკარში მოვაწერეთ ხელი და შატილში წავედით სამოგზაუროდ.

მდინარე ისევ ზათქითა და ზეიმით მოშხუოდა, ისევ მიცურავდა თავზეით ერთი მუქა ცარგვალი, მდინარის პირას თანდათან სიცივე და რუხიფერი ჩამოწვა. როცა თბილისში შემოვედით, ჭაჭანება არ იყო. ვუყურებდი ჩამქრალ ფანჯრებს და ვდუდუნებდი: მთელი თქვენი სიცოცხლე ლამაზ სიზმრებს რომ მიანდომოთ, მაინც ვერ იხილავთ იმ ფერებსა და სილამაზედ დაღვრილ საოცრებას, რაც ამ დღეებში ვნახეთ და განვიცადეთ!

დაე არასდროს ჩამქრალიყოს მათ კერიაზე შატილური ხევების კვამლი და ვიდრე ვცოცხლობდით, მანამდე ისმოდეს ხევსურთა ბანებზე გადმომდგარი ქალების ჯანსაღი სიცილი და ბალღების გადაძახილი.

მედეა კახიძე.

• • •

სურათებზე: შატილის საერთო ხედი; შატილელი გოგონები.

ფოტო ბ. დადვაძისა და ო. თურქიასი.

ალექსანდრე ბეგაშვილი

მგოსნის საწოლთან

„სხვიტორის დღიურიდან".

არც ოქრო-ვერცხლი,
ლალ-ზურმუხტი,
არც სპილოს ძვალი...
დრო-ჟამით ულვთოდ გაცრეცილი
ნივთები მკრთალი.

ბი საათი,
დუმს, არ იძვრის დაობლებული...
ვერ გავეცალე სევდიანი,
გაოგნებული.

მგოსნის მაგიდა,
მგოსნის ტახტი,
აკვანი მგოსნის...
მგოსნის აივანს
საქართველოს ნიავი ჰკოცნის...

ეს ხომ პოეტის საწოლია —
უბრალო რკინა...
უბრალო რკინა,
მაგრამ მზერა ზედ მიმეყინა...

აი აქ იწვა,
ამ საწოლზე,
სიბრძნის მთოვარი,
ძილშიაც
ღვთისთვის
საქართველოს ბედის მთხოვარი.
აი აქ იწვა...
მაგრამ თვალზე არ ჰქონდა რული,
გულს უმდუღრავდა
ერის აწმყო,
ერის წარსული.
ეზმანებოდა:
მტერს ვმუსრავდით
დასად და დასად....
ივენთებოდა სამშობლოსთვის
კელაპტრის მსგავსად.

ეს დიდი მგოსნის საწოლია —
უბრალო რკინა,
უბრალო რკინა,
მაგრამ მზერა ზედ მიმეყინა...

აი აქ იწვა,
ამ საწოლზე
მკრთალი,
სნეული...
მოხუცს სიკვდილი
აქ მოუხტა
მუხთლად, წყეული.
კვდებოდა, —
თავის საქართველოს ენაცვლებოდა,
მამულის ცრემლი
თვალზე მძივად ემარცვლებოდა.
კვდებოდა, —
თავის სამშობლოსთვის ცრემლი სდიოდა,
ისე კვდებოდა,
ხალხს ეგონა მზე ჩადიოდა.

აი აქ იწვა,
ამ საწოლზე,
სიბრძნის მთოვარი,
ძილშიაც ღვთისთვის,
საქართველოს ბედის მთხოვარი.
ილიას უღელს ეწეოდა
მოხუცი ცალად.
წამოიჩოქა,
აღარ ეყო მუხლებში ძალა.
და ამ საწოლზე შემოენთო
სიკვდილის ალი,
დიდმა მგოსანმა
ამ საწოლზე დახუჭა თვალი.
ისე დახუჭა,
ცა-ფირუზის არ გაჰყვა ვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ.ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის

ხელოვნება ხალხს

ვით ტალღა ზღვისა

ესტონეთის ესტრადის ოსტატთა კონცერტი თბილისის ოფიცერთა სახლში

ასეთი უხვი „მოსავალი" თბილისის საკონცერტო დარბაზებს კარგა ხანია არა ჰქონიათ. ჩვენს დედაქალაქს ხელოვნების ნამდვილი გაზაფხული ეწვია.

ესტონეთის ფილარმონიის მსახიობებმა — საესტრადო ჟანრის წარმომადგენლებმა თავიანთ ერთადერთი კონცერტი თბილისის ოფიცერთა სახლის დარბაზში გამართეს.

... იკავებ ადგილს, ელოდები კონცერტის დაწყებას, მაგრამ იგი თითქოს კი არ უნდა დაიწყოს, არამედ სხვა წარმოდგენის გაგრძელებაა. სცენის ფარდა ღიაა, იგი მხოლოდ მსახიობების გამოჩენას ელოდება.

სცენაზე ადგილს ქალთა ვოკალური კვინტეტი „ლაინე" იკავებს. ლაინე ესტონურ ენაზე ზღვის ტალღას ნიშნავს. უნდა ღელავდეს, მაგრამ „ლაინე" იცინის, ვინაიდან მასპინძლები ღიმილით შეხვდნენ მათს პირველ გამოჩენას, პირველ სიმღერებს — გენადი პოდელსკის „ხმინავთ ვაჟებს", იტალიურ „პატარა გოგონას" და მოცარტის „თურქულ მარშს". უნდა აღინიშნოს, რომ ვოკალურმა კვინტეტმა ეს უკანასკნელი ნაწარმოები აკაპელაში შეასრულა და ანსამბლური კანონების რთული ინტერპრეტაციით გახსნა დიდი კომპოზიტორის ლამაზი ნაწარმოები. მილვის, ვივის, ხაიმისა და ანეს მთელი საღამოს განმავლობაში რამდენჯერმე შევხვდით. მათი გამოსვლა და სიმღერები ისეთივე მომხიბვლელი იყო, როგორიც თვით მათი სახელებია.

კიდევ ერთ საკონცერტო ნომერზე მინდა შევჩერდე. საბალეტო დუეტი — ანტს ვიაჰეიაუსი და ელონა სპრიტი კარგად არიან შეხმატკბილებულნი, მათი ყოველი მოძრაობა პლასტიკურია. ესტონური ხალხური ცეკვა, თანამედროვე „ჩაიფი" თუ რუსული „კალინკას" თემაზე შექმნილი ქორეოგრაფიული ნოველა. ყველა ერთნაირად საინტერესო და მიმზიდველია.

საკონცერტო ჯგუფს მუსიკალურ „მეგზურობას" ინსტრუმენტული სექსტეტი უწევს. ენ ვაინი, ველო მარკენი, რობერტ სეილმანი, ვლადიმერ კრიგერი, ანტს ლასი (ჯგუფის ხელმძღვანელი) და რუდოლფ მიხაილოვი ინსტრუმენტალისტები არიან, მაგრამ საკონცერტო წარმოდგენაში მათ სხვა ფუნქციებიც აქვთ დაკისრებული — ყველანი მღერიან და უნდა ითქვას, რომ კარგ ვოკალურ ფონს უქმნიან კონცერტის ყველა ნომერს, რითაც სანახაობა უთუოდ უფრო მიმზიდველი ხდება.

საბჭოთა სიმღერის საკავშირო კონკურსის დიპლომანტმა ველო ორუმეცმა და რუდოლფ მიხაილოვმა მრავალი საბჭოთა და უცხოური სიმღერა შეასრულეს. განსაკუთრებული მოწონება ხვდა გამალიას ნაწარმოებს, რომელსაც „კაპრალის სიმღერა" ჰქვია! ახალგაზრდა მსახიობმა მიხაილოვმა სიმღერა პათოსით შეასრულა და მოწონება დაიმსახურა.

ესტონეთის ამ საკონცერტო ჯგუფს ტაშს უკრავდნენ საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში, კანადაში, ფინეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიაში. თბილისელების მხურვალე ტაში სტუმრების კარგი ხელოვნების დასტური იყო.

ესტონეთიდან წამოსული „ტალლა" თბილისის გავლით შავიზღვისპირეთისაკენ — ბათუმსა და სოხუმს მიაშურებს. „ლაინეს" კონცერტები ალბათ არც ამ ლამაზი საკურორტო ქალაქების მცხოვრებლებს დატოვებს აუღელვებლად.

კოტე მაკარიძე.

სურათებზე: ზემოთ — უკრავს ანსამბლის ხელმძღვანელი საქსოფონისტი ანტს ლასი; ქვემოთ — მღერის ანსამბლის სოლისტი ანე სალერი.

ფოტო ა. კავკასიძისა.



მეცნიერი და პედაგოგი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვალერიან მიხეილის-ძე ცაბაძეს დაბადების 60 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წელი შეუსრულდა. იგი ერთი პირველთაგანია, რომელმაც საქართველოში სოციალურ-ჰიგიენურ გამოკვლევებს საფუძველი ჩაუყარა. თავის უფროს კოლეგებთან პროფესორებთან გ. ნათაძესთან და ა. ხმალაძესთან ერთად იგი საქართველოში ჰიგიენისტთა საზოგადოების დამფუძნებელთაგანია. მას შემდეგ არ ყოფილა მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ორგანიზაციული წამოწყება ჰიგიენის და ჯანმრთელობის დაცვის დარგში, მას მონაწილეობა რომ არ მიეღოს.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვ. ცაბაძე ჩაირიცხა სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს და დღემდე მუშაობს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სოციალური ჰიგიენის კათედრაზე. ამასთანავე იგი განყოფილების გამგეა სანიტარულ-ჰიგიენურ და პედიატრიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში.

ვ. ცაბაძის სამეცნიერო შრომები ცნობილია როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ. მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა — აი ის ძირითადი პრობლემა, რომელსაც ეძღვნება ერუდირებული მეცნიერის გამოკვლევათა უმრავლესობა. მისი მონოგრაფიული გამოკვლევა მნიშვნელოვანი შენაძენია სოციალური ჰიგიენის მეცნიერებაში. განახლებული კომპლექსური მეთოდის განხორციელებით პირველად ღრმად შესწავლილია საქართველოს სსრ მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა და ნაჩვენებია ის ძვრები, რომლებიც ამ მხრივ ჩვენს დროში მოხდა.

მოსახლეობის კვლავწარმოშობის საკითხი აქტუალურია ჩვენი რესპუბლიკისათვის. სწორედ ამ პრობლემას ეხება ვ. ცაბაძის შრომათა ნაწილი. მის მიერ 20 წლის მანძილზე შესწავლილია შობადობა და სიკვდილიანობა საქართველოს ქალაქის მოსახლეობის ფენებში, აგებულია დღეგრძელობის ცხრილები, განსაზღვრულია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და თბილისის მოსახლეობის კვლავწარმოშობის ნატიფი მაჩვენებლების გამოთვლით ნაჩვენებია მათი უკმარისობა; გამახვილებულია საზოგადოებრიობის და დედების ყურადღება შობადობის გაზრდის საჭიროებაზე და მის ხელშემწყობ ღონისძიებებზე.

პროფესორმა ვ. ცაბაძემ მთელი რიგი შრომები მიუძღვნა მოსახლეობის ფიზიკური განვითარების საკითხს. მან პირველად გამოიკვლია სოფლის მოსწავლეთა ფიზიკური განვითარება და შეავსო ის ხარვეზი, რომელიც მანამდე არსებობდა. მის მიერ შემუშავებული და განახლებული სტანდარტები და რეგრესიის ცხრილები შესაძლებლობას აძლევს ყოველ ექიმს და პედაგოგს კომპლექსურად შეაფასოს სოფლის და ქალაქის მოსწავლეთა ფიზიკური განვითარება.

ფართო დიაპაზონის მეცნიერის მრავალ გამოკვლევაში გაშუქებულია საქართველოში სამედიცინო დახმარების ორგანიზების მნიშვნელოვანი საკითხები. თავისთავადი მნიშვნელობის გარდა ეს შრომები დახმარებას უწევს რესპუბლიკაში სამედიცინო მომსახურების მოწესრიგებას, სამედიცინო დახმარების მოთხოვნილების უკეთ განსაზღვრას და ჯანმრთელობის დაცვის რაციონალურ დაგეგმვას.

ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობის პარალელურად პროფესორი ვ. ცაბაძე დიდ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა, მას მრავალი ექიმი-სპეციალისტი გაუზრდია ჩვენი ქვეყნისათვის.

დაუღალავ მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ვ. ცაბაძე ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი არის გამგეობის წევრი: საქართველოს ჰიგიენისტთა და მედიკოს-ისტორიკოსთა საზოგადოებებისა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის და სახლთმოსახლეობის შესწავლის რესპუბლიკური კომიტეტებისა. იყო საკავშირო საპრობლემო კომისიის წევრი „საბჭოთა ჯანდაცვის თეორიული საფუძვლების" პრობლემაში და თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი. როგორც მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ვ. ცაბაძე სისტემატურად უწევს მეთოდურ-კონსულტაციურ და ორგანიზაციულ დახმარებას ჯანმრთელობის დაცვის და განათლების ორგანოებს.

ვუსურვოთ ღვაწლმოსილ მეცნიერს დღეგრძელობა და შემდგომი წარმატებები მშობლიური ხალხის ჯანმრთელობის საკეთილდღეოდ.

პ. გელბახიანი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

ა. ასათიანი,
სოციალური ჰიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის კათედრის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

მიფრინავს „კოსმოსი-326"

1970 წლის 18 მარტს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-326". თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რომელიც განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამომთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

დიდი ფეხბურთის XXXII გაზაფხული

თქვენი გამარჯვებისა...

როგორც წესი, სეზონის გახსნის წინ ხშირად მწვრთნელებს მივმართავთ ხოლმე. ამჯერად ტრადიცია დავარღვიეთ, კაპიტნებს ვესტუმრეთ და რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

ინტერვიუ კაპიტნებთან

პირველ რიგში მოვუსმინოთ თბილისის დინამოელთა კაპიტანს სლავა მეტრეველს.

როგორ მოემზადა „დინამო" ახალი სეზონისათვის?

— ცუდად არ გვივარჯიშნია. ჯერ ბაკურიანში ვიყავით, შემდეგ კი შავი ზღვის სანაპირო კურორტზე — გაგრაში, სადაც მოვაწყვეთ საკონტროლო შეხვედრები. იტალიაში გამგზავრებამ რამდენადმე ხელი შეგვიშალა. საერთოდ კი მოსამზადებელი პერიოდი ნაყოფიერი იყო.

რა პრობლემების წინაშე დგას გუნდი და როგორ ზრუნავთ მათი გადაწყვეტისათვის?

— პრობლემები ცოტა როდია. ავიღოთ თუნდაც ის, რომ ოთხი ფეხბურთელი მალე ნაკრებში გაემგზავრება. გ. გავაშელი და ლ. ნოდია ავადმყოფობდნენ და ჯერჯერობით მთლად კარგად ვერ არიან. საერთოდ თავდასხმა სხვა ხაზებთან შედარებით მოისუსტებს. ძალიან გვშირდება ცენტრი. კარში ურუშაძის ამარა ვართ... ასეთია ძირითადი პრობლემები. მთავარია პირველ ხუთ თამაშში ავიღოთ ქულათა მაქსიმუმი. ვნახოთ, ბიჭები მონდომებული არიან.

რა მიგაჩნიათ გამარჯვების მთავარ პირობად?

— მთავარია სათამაშო დისციპლინა. ჩვენ ცალ-ცალკე ძლიერნი ვართ, მაგრამ ზოგჯერ ვღალატობთ ანდაზას, ძალა ერთობაშია. გუნდის თვითეულმა წევრმა მეტი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს. ეს გრძნობა უთუოდ გაათკეცდებოდა, „გრძელი სკამის" პრობლემა რომ არ გვაწუხებდეს.

თქვენი აზრით, რომელი ქვეყნის გუნდი იქნება მსოფლიოს ახალი ჩემპიონი?

— ვფიქრობ ჩემპიონობას ბრაზილიელები დაიბრუნებენ. თუმცა ვიცე-ჩემპიონების დაცვა მოისუსტებს თავდასხმასთან შედარებით: დიდი შანსები აქვთ ჩეხებს. მათი ნაკრების ყველა ხაზი ერთნაირად ძლიერია. ჩვენი ნაკრები სამეულში შევა.

რაკი სიტყვა ჩვენს ნაკრებზე ჩამოვარდა, გვითხარით, როგორ დგას იქ თქვენი მიწვევის საკითხი?

— კახალინმა ერთხელ კიდევ შეამოწმა ჩემი მზადყოფნა და კმაყოფილია. ვფიქრობ მეხიკოში მეც მომიხდება გამგზავრება. გააჩნია, სეზონის პირველ მატჩებში როგორ ვითამაშებ.

დღევანდელ მოწინააღმდეგეზე რას იტყვით?

— მოსკოვის „ტორპედოს" ერთი საკონტროლო თამაში ვნახე, როცა მან „სპარტაკს" მოუგო. გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა: ცოტა დაცვა მოისუსტებს. ყოველ შემთხვევაში „ტორპედო" „ტორპედოა" და ვფიქრობ, რომ დღევანდელი შეხვედრა, ისე როგორც ყოველთვის, შეუპოვარი, უკომპრომისო იქნება. მინდა ვილოცოთ, რომ ჩვენ ჩემპიონატს ვიწყებთ პირველი სამეულისათვის ბრძოლით.

ახლა მოვუსმინოთ ქუთაისის „ტორპედოს" კაპიტანს ჯემალ ხერხაძეს.

როგორ ხვდება ქუთაისის „ტორპედო" ახალ სეზონს?

— გუნდი 23 დეკემბრიდან პირველ თებერვლამდე წვრთნას საკუთარ ბაზაზე გადიოდა. შემდეგ კი ლესელიძეში გვქონდა შეკრება და საკონტროლო შეხვედრები.

მზადების პერიოდში წვრთნის რომელ მხარეზე გქონდათ გამახვილებული ყურადღება?

— ვფიქრობ, რომ მთავარი მაინც ფეხბურთელების „შეხმატკბილებაა", ამ მხრივ დასაწყისში ყველაფერი რიგზე როდი იყო, მაგრამ უკანასკნელ თამაშებში ბევრად უკეთესად გამოვიყურებოდით.

რა სიახლეა „ტორპედოში"?

— გულშემატკივრებმა უკვე იციან, რომ გუნდს ა. კოტრიკაძე წვრთნის. ვცდილობთ გავუგოთ მას, გვერდში ამოვუდგეთ და ქართული ფეხბურთის ამ დიდად მოსიყვარულეს იმედები გავუმართლოთ. „ტორპედოში" მოვიდა მეკარე დ. გოგია. ძირითად შემადგენლობაში მეტი არავინ მიგვიღია. ვფიქრობ საჭირო კი იყო შევსება, რადგან ეს სეზონი უძნელესი იქნება ჩვენი გუნდისათვის.

რას მოელით ახალი სეზონისაგან?

— უნდა დავრჩეთ უმაღლეს ჯგუფში. მთავარია როგორ ჩავატარებთ პირველ ექვს უძნელეს მატჩს. ბიჭები ცუდ ფორმაში როდი არიან. თვითეული მათგანის საბრძოლო განწყობილება მაღალია.

და იქნებ ჩემპიონთან, არა?

— დიახ. თუმცა „სპარტაკი" ყოველთვის ძნელი გუნდია ჩვენთვის, მაგრამ ვეცდებით ჩვენს გულშემატკივრებს იმედები გავუმართლოთ.

გამარჯვება დაგებედოთ...

ვ. მარდალეიშვილი.

□

შვიდი მატჩი

დღეს ალმართავენ სსრ კავშირის XXXII პირველობის ალამს ფეხბურთში. გაიმართება 7 მატჩი. აი ვინ შეხვდება ერთმანეთს: „ტორპედო" (ქუთაისი) — „სპარტაკი" (მოსკოვი), „დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი), „ნეფტჩი" (ბაქო) — „ზენიტი" (ლენინგრადი), „პახტაკორი" (ტაშკენტი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა), „არარატი" (ერევანი) — სკა (დონის როსტოვი), „დინამო" (კიევი) — ორჯონიკიძის „სპარტაკი" (მატჩი გაიმართება სოჭში), „ზარია" (ვოროშილოვგრადი) — მინსკის „დინამო" (მატჩი შედგება სოჭში).



მეტრეველი: ამ სიცივეში ხომ არ აჯობებდა ჰოკეი გვეთამაშა?

მეგობრული შარჟი ბ. ფირცხალავასი.

□

ტალი „საუკუნის მატჩის" შესახებ

ფოთი. (სპეც. კორ.). „საუკუნის მატჩი" სსრ კავშირის მოჭადრაკეთა ნაკრებისა და მსოფლიოს რჩეულ მოჭადრაკეთა შორის ახლა უმაგალითო ინტერესს იწვევს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ რამდენიმე კითხვით მივმართეთ მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მ. ტალს.

თუ შეიძლება, მოკლედ დაგვიხასიათეთ მსოფლიოს რჩეულ მოჭადრაკეთა გუნდის მოთამაშეები. თქვენ ხომ მათ არაერთგზის შეხვედრიხართ.

— რ. ფიშერმა, რომელმაც არ მოისურვა ჰოლანდიაში ჩასვლა მ. ბოტვინიკთან სათამაშოდ, ახლა სიამოვნებით მიიღო ბ. სპასკისთან შეხვედრის წინადადება. ძნელია ამერიკელი გროსმაისტერის ახლანდელ ფორმაზე ლაპარაკი — მას ხომ წელიწადნახევარია არსად უთამაშნია. რაც შეეხება ბ. ლარსენს, მაიორკის უკანასკნელი ტურნირის მოგების შემდეგ შეიძლება ვიმსჯელოთ მის საუცხოო მზადყოფნაზე. ლ. პორტიში, პირიქით, ამ ბოლო ხანებში არათანაბრად თამაშობს. მან პირველი პრიზი მოიხვეჭა ჰასტინგსში, მაგრამ ფრიად მარცხიანად გამოვიდა ბუდაპეშტში. ჰორტი, როგორც ცნობილია, მთელი წლის მანძილზე ტურნირიდან ტურნირში მონაწილეობს. ამასთან მას არსად არ დაუკავებია ადგილი მესამეზე დაბლა. ერთი სიტყვით, იგი მეტად ძლიერ პრაქტიკოსად უნდა მივიჩნიოთ. ს. გლიგორიჩი, იუგოსლაველთა აღიარებული ლიდერი, შეიძლება კმაყოფილი იყოს გასული სეზონით — იგი გააგრძელებს ბრძოლას საზონათაშორისო ტურნირში. იგივე ითქმის ს. რეშევსკიზე, რომელიც 59 წლის ასაკში ერთხელ კიდევ გახდა ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი. ვ. ულმანი ორიოდე წლის წინათ აშკარა შემოქმედებით კრიზისს განიცდიდა. ახლა მან აღიდგინა საბრძოლო ფორმა და უწინდებურად ფრიად საშიში გროსმაისტერია. ერუდირებული და შეუპოვარი მ. მატულოვიჩი დიდი ხანია იქადის, რომ იუგოსლავიის № 1 მოჭადრაკე გახდება. შეიძლება ითქვას, რომ მან თითქმის მიაღწია მიზანს. მ. ნაიდორფი ყველაზე ხანდაზმულია უცხოელ „ვარსკვლავთა" შორის. მან 60 წელს გადააბიჯა, მაგრამ წლები არ მოქმედებენ ამ შესანიშნავ გროსმაისტერზე. მ. ნაიდორფი კვლავინდებურად მხიარულია და, ასე გასინჯეთ, ძლიერიც. ბ. ივკოვს ერთხანს შემოქმედებითი აპათიის ნიშნები ჰქონდა, მაგრამ ახლა უკვე დაძლია ეს.

რომელი შეხვედრები იწვევს თქვენს დიდ ინტერესს?

— მე პირადად ყველა დაფა მაინტერესებს, ისე კი, რა თქმა უნდა, დიდ ყურადღებას მიიპყრობს ლიდერთა შეხვედრები. ჯერჯერობით ბ. სპასკის დადებითი ანგარიში აქვს რ. ფიშერთან, ტ. პეტროსიანს — ბ. ლარსენთან.

უკანასკნელი შეკითხვა: ვინ გაიმარჯვებს, თქვენი აზრით, ამ მატჩში?

— მე ვფიქრობ, რომ სსრ კავშირის ნაკრები საგრძნობ უპირატესობას მიაღწევს.

გ. გამრეკელი.

ჰოკეი

გუშინ სტოკჰოლმის „იუჰანესჰოფის" სტადიონზე სტარტი აიღო მსოფლიოს ოცდამეჩვიდმეტე პირველობამ შაიბიან ჰოკეიში. საბჭოთა ჰოკეისტებმა, რომლებსაც ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად თვლიან, მძაფრ ბრძოლაში დაამარცხეს ფინეთის ნაკრები ანგარიშით 2:1. აღსანიშნავია, რომ სამივე შაიბა გატანილი იქნა შეხვედრის მესამე პერიოდში.

ამის შემდეგ ყინულის მოედანზე გამოვიდნენ შვეციისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები. შვედების უპირატესობა აშკარა იყო და წარმატებაც მათ ხვდათ ანგარიშით 6:1.

ბავშვთა სამყარო

ელექტრონული ბიბლიოთეკა

გაიბუტნენ

ფოტოეტიუდი თ. შუნიასი.

აბა თუ მიპოვნი!

ფოტოეტიუდი ა. ჩარქვიანისა.

სხვა გაზეთებიდან

დელფინები შველას ითხოვენ

საზღვაო ბუქსირი „კოლგუევი", რომელიც ჟდანოვიდან ქერჩისაკენ მიემართებოდა, ყინულების ტყვეობაში აღმოჩნდა და ყინულმჭრელის მოსვლას ელოდა. გემთან წარმოქმნილ ყინულჭრილში მეზღვაურებმა გასისხლიანებული დელფინი შეამჩნიეს. ძალაგამოცლილი დელფინი ძლივს იკავებდა თავს წყალზე. მეზღვაურებმა იგი გემბანზე ამოიყვანეს და მოათავსეს ბრეზენტისაგან სასწრაფოდ გაკეთებულ აუზში, რომელშიც ზღვის წყალი შედიოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბუქსირთან გამოჩნდა მეორე დელფინი. იგი თვითონ მიცურდა ყინულზე ჩასულ მეზღვაურთან და ნება მისცა აეყვანა. სამი საათი დაჰყვეს დელფინებმა გემბანზე. მათ ჭრილობები გაუსუფთავეს. „კოლგუევი" ყინულების ტყვეობიდან რომ განთავისუფლდა და გაშლილ ზღვაში გავიდა, ეკიპაჟის წევრები გამოემშვიდობნენ თავიანთ მოულოდნელ სტუმრებს.

მარულას კენკრა

სამხრეთ აფრიკაში წელიწადში ერთხელ უკლებლივ ყველა ცხოველი — ფრინველიდან სპილომდე — თავისებურ ბაქქანალიაში მონაწილეობს. ეს მაშინ ხდება, როცა მწიფდება და დუღილს იწყებს მარულას კენკრა. ცხოველები ჭამენ მას და ძლიერ თვრებიან — კენკრის წვენი მათს ორგანიზმში სპირტად იქცევა. ცხოველები ამ ხის გარშემო ცეკვავენ. სპილო ცალ ფეხზე ტრიალებს, მაიმუნი ხის წვეროზე დახტის. ყველას ავიწყდება საფრთხე. ჯუნგლების სამყარო გიჟდება.

ჟურკა და გალკა

ძმები კოლია და სერგი სინჩუკოვები მხიარულად სკოლაში მიცუნცულებენ. მოუსვენარი გალკა აცილებთ. თითქოს ეშინია, ბავშვები მეცადინეობაზე დაიგვიანებენო, ხშირად მიფრინავს წინ, ისევ ბრუნდება და თავზე აჯდება ბავშვებს, თავის ენაზე „ეჩხუბება" დინჯ წეროს, რომელიც ნელა მიაბიჯებს ბავშვების უკან.

წერო აფრინდება, დაეწევა ბავშვებს, დაჯდება და კვლავ ჩამორჩება. ასე მეორდება რამდენჯერმე. ბავშვები ხელს უქნევენ თავიანთ ფრთოსან მეგობრებს და სკოლის შენობაში შედიან. წერო ცნობისმოყვარეთ ერიდება და მეგობარს უცდის. გალკა კი ფანჯრებქვეშ ჯდება, საკლასო ოთახებში ჩაიხედავს, თითქოს დარწმუნდება, მოსწავლეები ნამდვილად დასხდნენ მერხებზეო, და შინისაკენ მიემართება. ახლა წეროც აფრინდება. კოლიას და სერგის მშობლებმა იციან, რომ თუ ჟურკა და გალკა, როგორც ეძახიან ფრთოსნებს, შინ მიფრინდნენ, ბავშვები სკოლაში არიან, თუ არა, — სასეირნოდ წასულან.

კოლიას და სერგის წერო გაზაფხულზე მამამ აჩუქათ. ბარტყი იყო, მინდორში რომ იპოვნა. ჭკა გალკა ბავშვებმა გადაარჩინეს, როცა ბუდიდან გადმოვარდნილიყო. ახლა, რომ მოშივდება, გალკა ფანჯარაზე ჯდება და მანამდე აკაკუნებს. სანამ არ გამოიღებენ და საკენკს არ დაუყრიან. ჭამის დროს გალკა წეროს ჩხუბს უმართავს. დინჯი ჟურკა ელოდება, სანამ გალკა დანაყრდებოდეს, შემდეგ კი თვითონ შეუდგება კენკვას.

ამ ამბის შესახებ გაზეთ „სელსკაია ჟიზნს" აცნობა ს. ადილბეკოვმა — ცელინოგრადის ოლქის ჟანდალის რაიონის გაგარინის სახელობის საბჭოთა მეურნეობიდან.

ხლესტაკოვი ჭიათურაში

გაიხსენეთ სახელგანთქმული მწერლის ნ. გოგოლის „რევიზორი" და ამ ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი გმირი ხლესტაკოვი. ასეთ თვითმარქვია და გაიძვერა რევიზორებს სამწუხაროდ, ახლაც ჰყავთ ზოგი უნიჭო მიმბაძველი, სამარცხვინო საქმის გამგრძელებელი. თანამედროვე ხლესტაკოვად მოევლინა ჭიათურას ილია ტერელაძე. მათ შორის მსგავსებაც არის და სხვაობაც. ხლესტაკოვი 23 წლის ახალგაზრდა იყო. ი. ტერელაძე 57 წლისაა, მაგრამ მატყუარობა-უსინდისობაში როდი ჩამოუვარდება ნ. გოგოლის რევიზორს.

ჭიათურაში ი. ტერელაძის ჩამოსვლაზე ხლესტაკოვის მსგავსად წინასწარ ბარათი არავის გამოუგზავნია. არც მზადება ყოფილა ტერელაძის შესახვედრად. იგი არც ოფიციალურად გამოცხადებია ვინმეს, არც სასტუმროში დაბინავებულა. ქართველმა ხლესტაკოვმა მეზავრულად შემოიარა მარგანეცის ქალაქში, მაგრამ ბედნიერი ნაკვალევის დატოვება მაინც მოასწრო...

ხლესტაკოვი ხომ გაიძახოდა: „ჭამა-სმა მიყვარს. კაცი იმისათვის ცხოვრობს, რომ სიამოვნების ყვავილები წყვიტოს... მე ლიტერატურით ვცხოვრობ... პუშკინთან ვარ დამეგობრებული. ხშირად მითქვამს იმისათვის: „სხვა, როგორა ხარ, ძმაო პუშკინ?.. დიახ, ჟურნალებშიაც ვწერ... თუ როდისმე პეტერბურგში იქნებით, გთხოვთ ჩემთან მობრძანდეთ, მეც ხომ ვმართავ ბალებს..."

მსგავსი მაღალფარდოვანი სიტყვები ი. ტერელაძემაც მოჰფინა ჭიათურის სასადილო-მაღაზიებში.

— მწერალ-ჟურნალისტი და თბილისელი კორესპონდენტი ვარ. გამოჩენილ მწერალ-ჟურნალისტებთან ვმეგობრობ. ხუთი წიგნი მაქვს გამოცემული. ორი ახლაც სტამბაშია. ახალ შრომებსაც ვწერ. ჩემს შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევენ, ახლაც სხვიტორში მივდივარ. აკაკი წერეთელზე ვრცელ ნარკვევს ვწერ ჟურნალისათვის. ასე იქებდა თავს ი. ტერელაძე და თანაც აიძულებდა ვაჭრობის მუშაკებს დაესაჩუქრებინათ დედაქალაქიდან ჩამოსული ვაი-კორესპონდენტი.

ნუ გამოუდგებით ი. ტერელაძის ადრეულ წარსულს, იგი როდი ბრწყინავს, ტერელაძის სასარგებლოდ არაფერს გვაუწყებს. ერთი კი ნათელია: ი. ტერელაძე არ ეწევა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, გაურკვეველი პროფესიის ადამიანია, დასეირნობს ქალაქიდან ქალაქში, სასადილოდან რესტორანში, მაღაზიიდან უნივერმაღში... 1950 წელს პატიმარი იყო. 1969 წლის 31 აგვისტოს გორში ხულიგნობისათვის ამხანაგურ სასამართლოს გადასცეს. ჭკუა მაინც ვერ ისწავლა...

მიმდინარე წლის ხუთ თებერვალს ჭიათურას ესტუმრა მოხრდილი პორტფელით, ფოტოაპარატით, გვერდზე მოქცეული სვანური ქუდით.

დილით ავტოსადგურის სასადილოში შეიარა. თანამშრომლებს თავი ჟურნალისტ-კორესპონდენტად გააცნო, ბუფეტში ფასები შეათვალიერა, ბლოკნოტში თითქოს რაღაც ჩაინიშნა და თავისუფალი მაგიდა მოძებნა. კუპატი მოითხოვა, ზედ კონიაკი დააყოლა. შეზარხოშდა. ფეხზე შეცივნება მოიმიზეზა და სამზარეულოში გადაინაცვლა. სტუმარს თავაზიანობას როდი აკლებდნენ მებუფეტე გ. კირვალიძე და მზარეული თ. გორგაძე. სამზარეულოში ახალი სუფრა გაიშალა. იქ სამი ნახევარლიტრიანი არაყი შემოდგეს.

ამბობენ, მაგარი სასმელების დანახვაზე ი. ტერელაძეს თვალები უბრწყინდება, ფრთები ესხმისო. ახლა იგი ოფიციალურად წერს: „არყის დალევაზე თანახმა არ ვიყავი, მაგრამ მაინც დავლიე, დავთვერი კიდეც. ფული სასადილოში არ გადამახდევინეს"... (თუმცა იმასაც ამბობენ, ი. ტერელაძე დანახარჯის გადახდას არ ცდილობს, ამისთვის თავს როდი იწუხებს).

სტუმარ-მასპინძლობამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. გამომთვრალი ი. ტერელაძე სასადილოს ეზოში გამოვიდა, მაგრამ გულს თითქოს რაღაც აკლდა. სასადილოს თანამშრომლები მოკრძალებით აცილებდნენ „საპატიო სტუმარს". თურმე ი. ტერელაძე პურმარილის მიღებას პატივისცემად როდი თვლის, სასადილოში მომუშავენი რომ დაეშინებინა, ტერელაძემ ფოტოაპარატი მოიმარჯვა და სასადილოს შენობას იღებდა. თანაც დასძინა:

— ასეთი შენობა სასადილოს არ შეეფერება, ამის სურათს რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში გამოვაქვეყნებ.

სასადილოს თანამშრომლებმა მუდარით შესთხოვეს:

— ახლა სასადილოს გამგე აქ არ არის, სურათის გადაღება რომ გაიგოს გაგვიჯავრდება. ძალიან გთხოვთ სურათს ნუ გადაიღებთ.

უმადურმა სტუმარმა მუდარა შეიწყნარა, მაგრამ ანდერძივით დაიბარა, მიპატიჟებია, მაგრამ ჩემი ლმობიერება კარგად შეისმინოს თქვენმა გამგემ, თორემ მის საკითხს სათანადო ორგანოებში დავაყენებ და ინანებსო...

ამასობაში ტაქსი გაჩნდა, გულუხვმა მასპინძლებმა „ძვირფასი სტუმარი" „ვოლგაში" ჩასვეს და ქალაქის ცენტრისაკენ დაულოცეს გზა...

ი. ტერელაძე დაბარებულივით მიადგა რაიკოოპკავშირის ცენტრალურ მაღაზიას. მან აურზაური ატეხა მაღაზიაში. სექციონერებს ა. კიკოზაშვილსა და დ. ჭილაძეს დაემუქრა: თქვენ ფასებს ამახინჯებთ, ყველაფერს ორმაგად ყიდით, დასაჭერი ხართ, მე მწერალ-კორესპონდენტი ვარ, ყველაფრის შემოწმების უფლება მაქვს, მაღაზია დაკეტეთ, თქვენი დანაშაული ქვეყანას უნდა გავაგებინო, და თანაც ბლოკნოტში სექციონერ ა. კიკოზაშვილის ვინაობა ჩაინიშნა.

მაღაზიის მუშაკებმა ი. ტერელაძეში გაქნილი თაღლითი შეიცნეს და სათანადო დოკუმენტი მოსთხოვეს. ამაზე უფრო გაცხარდა ი. ტერელაძე, რადგან დოკუმენტი არ ჰქონდა — და მაღაზია დაკეტინა.

დაუპატიჟებელი სტუმარი მაღაზიის საწყობში მიიწყვის. ახლა კი მოლბა, სექციონერებს ხმადაბლა მიმართა: ამიერიდან განუყრელი მეგობრები ვიყოთ, ყველაფერს გაპატიებთ, მაგრამ აუცილებლად უნდა მიშოვნოთ ძვირფასი საკაბე, ქალის სამი წყვილი უცხოური ქოში, ოქროსკორპუსიანი საათი „ლუჩი", ძვირფასი რადიომიმღები.

— ჩვენს მაღაზიას ასეთი საქონელი ამჟამად არა აქვს. ვეცდებით საათი მაინც გიშოვნოთ ამჯერად, — შეჰკადრეს სექციონერებმა.

— მაშ შევთანხმდეთ: საათისათვის მალე გამოვივლი, ხოლო საკაბე, ქოშები და რადიომიმღები თბილისში ჩამომიტანეთ, — და სექციონერ დ. ჭილაძეს თავისი ხელით დაუწერა მისამართი „გ. ტაბიძის ქ. № 21, ილო ტერელაძე. ტელეფონი: 93-35-17".

უნამუსო და გაიძვერამ მალე იბრუნა ფეხი მაღაზიაში. როცა იქიდან „ხელდამშვენებული" ბრუნდებოდა, იგი პროკურატურაში წარადგინეს. მას აღმოაჩნდა საათი „ლუჩი" და 322 მანეთი. ამაში იყო ის 25-მანეთიანები, რომლებიც ერთი საათის წინ მაღაზიის დახლში იდო და „საჩუქრად" წამოიღო ი. ტერელაძემ. ყველაფერი გაირკვა, შედგა აქტი. თაღლითი დააპატიმრეს. იგი მალე წარსდგება საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე.

ნ. გოგოლის ხლესტაკოვმა იოლად გაასწრო ქალაქიდან, ტერელაძე კი გაება. დაავიწყდა ხალხური თქმა „სინდისით ვაჭრობა არავის ამდიდრებსო"...

ი. ტერელაძე ირწმუნება, 160 მანეთი ვინ ჩამიდო კოსტიუმის შიდა ჯიბეში, არ ვიცი, დანარჩენი ფული კი მეუღლემ გამომატანა საყიდლებზეო.

ერთი სიტყვით, ტყუილს ამ შემთხვევაშიც ძალზე მოკლე ფეხები აღმოაჩნდა.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

შ. მ. ხატიაშვილი — ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობისა და ტექნოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა, დოცენტმა **შოთა მიხეილის-ძე ხატიაშვილმა** ინსტიტუტის გაერთიანებულ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„საქართველოს ხილეულის მაიონიზებელი რადიაციით შენახვისა და კონსერვირების გამოკვლევა".**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა შ. მ. ხატიაშვილისათვის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რადიო

16 მარტი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 07.30 — დილის კონცერტი, 12.10 — საუბარი „ყაირათიანობისა და მომჭირნეობის რეზერვი", 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს", 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — მღერის მ. კრისტალინსკაია, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. ციკლი „მარად ცოცხალი". საუბარი „ვ. ი. ლენინი — ოქტომბრის ბელადი", 19.45 — ვაჟა აზარაშვილი. სიმღერები, 20.00 — საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი. ტრანსლაცია ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. სოლისტი — ე. გილელსი. 22.50 — სიმღერები ვოკალურ ანსამბლ „გორდელას" შესრულებით. 23.30 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

15 მარტი

09.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად ლექცია მათემატიკაში, 10.00 — ლექცია ფიზიკაში, 10.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა ბავშვებისათვის „მალვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 11.40 — კინონარკვევი, 12.00 — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან) 13.05 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „ორერა, სრული სვლით" (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.00 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ზღაპრისმაგვარი საოცარი ამბავი" (ქართულ ენაზე), 15.05 — „კინოათოშა", 15.30 — მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. საბჭოთა კავშირი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (გადმოცემა შვეციიდან), 16.15 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.05 — კინონარკვევი, 17.15 — გადაცემა ციკლიდან „ურღვევი კავშირი" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის გამოსვლა (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — პუბლიცისტური პროგრამა „გამარჯვების გზით" (გადმოცემა მოსკოვიდან), **18.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო" თბილისი — „ტორპედო" მოსკოვი (ვიდეოჩანაწერის გადაცემა ცენტრალური ტელევიზიისათვის)**, შესვენების დროს — ახალი ამბები, 19.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა „კინომოგზაურთა კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.45 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.45 — გადაცემა ციკლიდან „ლენინიანა", 22.25 — საერთაშორისო პროგრამა „შვიდი დღე" (ვიდეოჩანაწერი) 23.15 — მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში შვეცია-ჩეხოსლოვაკია (გადმოცემა შვეციიდან).

თეატრები

15 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — გორდა (დღისით), ამბავი ტარიელისა (საღამოს, 25-ე აბონ. მე-9 წარმოდგენა); **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — სანამ ურემი გადაბრუნდება (დღისით), სიბრძნე სიცრუისა (საღამოს); **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — გააზნაურებული მდაბიო (დღისით), სამანიშვილის დედინაცვალი (საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ფიოლა (დღისით), მთვარის მოტაცება (საღამოს); **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ნინო (დღისით), სილვა (საღამოს).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი
თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99 93 03, 99 08 09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99 66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99 87 61, პროპაგანდის — 93 22-93, მრეწველობის — 93 20 84, სოფლის მეურნეობის — 99 52 46, საბჭოთა მშენებლობის — 93 18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93 27 58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99 55 01, ინფორმაციის — 93 16 90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93 95 97, წერილების — 99 78-24, ილუსტრაციის — 93-28-54.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04188 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.